ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 26 ივლისი, 2021 №135 (8664) ფასი: 60 თეთრი

## თეა წულუკიანი: „ემა გოგოხია ამოვიღეს სვანეთში და მიკროფონს დავუბრუნებ“

გვ.2



# ხაზარაძე და ვაშაძე მელიას თუ არ დაუჭერენ მხარს, ე.ი. „ოცნების“ მხარეზე არიან





„ნაცმოძრაობას“ საკრებულოში უმრავლესობა არ ექნება“

გვ.3



აკაკი ბობოხიძე: „ნუ შევადარებთ ამ არჩევნებს საპარლამენტოს, მაშინ შეთანხმება „ნაცმოძრაობის“ ინიციატივით ვერ შედგა“



## „ოპოზიციის ნაწილმა შეცდომა დაუშვა, ნაწილი „ოცნებას“ შეეკრა“



გვ.4

ლაშა ჩხარტიშვილი: „ივანიშვილი არის ჩვეულებრივი შულერი, რომელიც ორი ხელითა და ორი სახით ეთამაშება საზოგადოებას“

## გახარია: „ვრწმუნდები, რომ გადაწყვეტილება გადადგომის შესახებ სწორი იყო“

გვ.2



## „სააკაშვილის მოწოდებებს და აქაური დამქაშების აქტიურობას ხალხი არ მიემხრო“

ანზორ აბრალავა: „პოლიტიკურ ბაზარზე, პაექრობის ნაცვლად, დიდი აგრესია გვაქვს“



გვ.4



გვ.2

## ნიკოლოზ გამყრელიძე: „წამლების ფასების ზრდის ძირითადი მიზეზი ლარის გაუფასურებაა“



გვ.5

## ჩოხატაურში ყოფილმა პოლიციელმა მასწავლებელი და მისი შვილი გაიტაცა

შარტავას ქუჩაზე დ.კ.-ს 6 პირი, მათ შორის, 1 ქალი, თავს დაესხა

ISSN 1987-9385

9 771987 938006

3 თამარ გაბუნია: „4.750 ადამიანს ფაიზერზე ჯავშანი არ დაუდასტურდა“

6 საფრანგეთის პარლამენტმა ექიმების სავალდებულო ვაქცინაციას მხარი დაუჭირა

4 ისრაელის საზღვრის დახურვით საქართველოს მეორე უმსხვილესი ტურისტული მიმართულება შეუჩერდა

6 გერმანიაში აუცრელი მოქალაქეებისთვის შეზღუდვები დაწესდება

# თეა წულუკიანი: „ემა გოგოხია ამოვიდეს სვანეთში და მიკროფონს დავუბრუნებ“



თეა წულუკიანი „მთავარი არხის“ ჟურნალისტს ემა გოგოხიას, რომელსაც მან 22 ივლისს სენაკის თეატრში მიკროფონი წაართვა, სვანეთში იბარებს.

– ძალიან ბევრი მეკითხებით, როდის დაუბრუნდება ქალბატონ ემას თავისი მიკროფონი. ქალბატონი ემა თავისი სიცრუის მანქანა ტელეარხიდან ფარავს სამეგრელო-ზემო სვანეთს, მაგრამ ფაქტია, თქვენ ყველანი ამოხვედით ხალდეში, თავისუფლებისთვის ბრძოლის ადგილას და ქალბატონი ემა აქ არ არის. სად არის ქალბატონი ემა? ამობრძანდეს, მე ჯერ კიდევ სვანეთში ვარ და თუ ამოვა ამ ხეობაში, მე მას ამ მიკროფონს დავუბრუნებ, თუ არადა, დაიცადოს იმ მომენტამდე, როდესაც მას შევხვდები. თუ არადა, 3 ოქტომბერიც დადგება, როდესაც ის და თავისი მავნებლური პოლიტიკური ძალა მწარედ დამარცხდებიან არჩევნებში.

ბურთი მის მოედანზეა. ამობრძანდეს სვანეთში, წაიღოს თავისი მიკროფონი. თუ არადა, მოვიდეს, როცა უნდა და თუ აქვს მოსასვლელი პირი, ჩამხედოს თვალებში. როდესაც ჟურნალისტს უჩნდება მისნაირად სურვილი, რომ ითამაშოს პოლიტიკა, პოლიტიკური თამაში ასეთი ვიცი მე. თუ უნდა იყოს ჟურნალისტი, იყოს ჟურნალისტი და ნუ შეუვარდება ადამიანებს კერძო საკუთრებაში, ნუ შემოვარდება სენაკის თეატრში გახსნის ჩასაშლელად. მედიასთან ვიცი მე პოლიტიკოსის და ჟურნალისტის თანამშრომლობა და როცა ჟურნალისტი გადადის პოლიტიკაში, იქ მე პოლიტიკურად ასეთ თამაშს ვაწარმოებ.

ქალბატონო ევა, კი არადა ემა, დღეს-ხვალ ვარ სვანეთში და მობრძანდით, თუ გაქვთ ამოსასვლელი პირი, თუ არადა, მობრძანდით სხვაგან, სადაც ვიქნები და დაიბრუნეთ ქონება, თუ არადა, დაელოდეთ თქვენს მორიგ მწარე მარცხს და მაშინ მე თვითონ მოვალ, დაგიბრუნებთ ამ მიკროფონს და გეტყვით, რომ თქვენ დამარცხდით, – განაცხადა წულუკიანმა.

# ნიკა მელია: „ოპოზიციის გადასაწყვეტია, ამ ერთობას შემოუერთდებიან თუ არა“



– ეჭვი არ მეპარება, რომ თბილისს „ქართული ოცნება“ მიმდინარე არჩევნებზე წააგებს 2 ოქტომბერს. შესაბამისად, „ქართული ოცნება“ მთელი ქვეყნის მასშტაბით დამარცხდება და ჩაინიშნება ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები, რომელიც ჩატარდება გაზაფხულზე.

ამის შესახებ ოპოზიციის ნაწილის თბილისის მერობის კანდიდატმა ნიკა მელიამ ჟურნალისტებს განუცხადა.

როგორც მან აღნიშნა, „ქართული ოცნება“ უკვე დამარცხებულია, რადგან მისივე შეფასებით, ის დგას მხოლოდ ძალადობაზე, შიშისა და ზიზღის გენერირებაზე.

– „ქართული ოცნების“ დამარცხებაში ღრმად დარწმუნებული ვარ და ეჭვი არ მეპარება, რადგან ყველაფერს აქვს საზღვარი და კანონზომიერება გაიმარჯვებს. კანონზომიერებაა, რომ მოძალადეები ველარ უნდა გაჩერდნენ მართვის სადავეებთან. ყველაფერი ახლა არის დამოკიდებული პოლიტიკოსებზე, საზოგადოების აქტიურ მოქალაქეებზე, მათ რწმენაზე, რომელიც მთელ საქართველოს უნდა გადაედოს. „ქართული ოცნება“ უკვე დამარცხებულია, ის დგას მხოლოდ ძალადობაზე, შიშისა და ზიზღის გენერირებაზე. ამ ყველაფერს ჩვენ უნდა დავუპირისპიროთ ერთობა, სიმტკიცე და რკინის ნერვები, – განაცხადა მელიამ.

ამასთან, მელიამ აღნიშნა, რომ მისი სურვილი საერთო ოპოზიციური ერთობა და ისეთი კანდიდატის მოძებნა იყო, ვის გარშემოც ოპოზიციის გაერთიანება მოხდებოდა, რაც არ გამოვიდა.

– მე საერთო ოპოზიციური კანდიდატი არც გლდანში ვყოფილვარ, მაგრამ გლდანში გამარჯვება მოვიპოვე. ბუნებრივია, ოპოზიციის გადასაწყვეტია, ამ ერთობას შემოუერთდებიან თუ არა. ვინც არ შემოუერთდება, წარმატებებს ვუსურვებ მათ. ჩემი სურვილი იყო ქვეყნის მასშტაბით საერთო ეროვნულ არჩევნებში ვყოფილიყავი ჩართული. ყველაფერი გავაკეთე იმისთვის, რომ მოგვეძებნა კანდიდატი, რომლის გარშემოც მოხდებოდა ოპოზიციის კონსოლიდაცია, შედეგად მივიღეთ ის, რაც მივიღეთ, – განაცხადა მელიამ.

# გახარია: „ვრწმუნდები, რომ გადაწყვეტილება გადადგომის შესახებ სწორი იყო“



პარტია „საქართველოსთვის“ ლიდერი, ექსპრემიერი გიორგი გახარია ამბობს, რომ მისი გადაწყვეტილება გადადგომის შესახებ სწორი იყო, რადგან რეგიონში არსებულ პრობლემებს თანამდებობაზე ყოფნის დროს ნაკლებად ამჩნევდა.

– რეგიონებში სიარულის შემდგომ სულ უფრო და უფრო ვრწმუნდები, რომ გადაწყვეტილება გადადგომის შესახებ იყო სწორი. უბრალოდ მომეცა შესაძლებლობა, მაინც თანამდებობაზე რომ ხარ, როგორც ჩანს, ადგილობრივი ხელისუფლება იმ გზებით გატარებს, რომელიც უნდა და გუგლ მეპით რომ დადიხარ, სულ დანგრეულ გზებზე გიწევს სიარული და ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, – თქვა გახარიამ აჭარაში მოსახლეობასთან შეხვედრის დროს.

# ლაშა პაპაშვილი: „თუ ორი კაცი გეუბნება, რომ ჩაიდანი ხარ, წყალი უნდა აადუღოო“



ბიზნესმენ ლაშა პაპაშვილის აზრით, მოსამართლეების შერჩევა-დანიშვნის პროცედურებზე მეტად მნიშვნელოვანია ის, თუ რა ღირებულებების მქონე მოსამართლეებს ავირჩევთ. ამის შესახებ -ის ვიცე-პრეზიდენტმა ბმ.გე-სთან ინტერვიუში განაცხადა.

კითხვამ – მაშინ, როცა საქართველოს მთავარი საერთაშორისო პარტნიორები ხელისუფლებას უზენაეს სასამართლოში მოსამართლეების დანიშვნის პროცესის შეჩერებისკენ მოუწოდებენ, რატომ ჯიუტობს და არ იზიარებს მმართველი პარტია მათ რეკომენდაციებს, ლაშა პაპაშვილს ერთი გამოთქმა გაახსენა.

„არ ვიცი „ხელისუფლება რატომ ჯიუტობს“... ჩემს ბავშვობაში იყო ასეთი გამოთქმა – „თუ ორი კაცი გეუბნება, რომ ჩაიდანი ხარ, წყალი უნდა აადუღოო“... მოსამართლეების დანიშვნის პროცესს ღრმად არ ვუყურებ, მაგრამ ჩემთვის ეს არაა შველა. ვთქვათ, ახლა გაჩერდა ხელისუფლება, მერე რა? მერე მოვა მეორე ძალა და ის სხვანაირად დანიშნავს მოსამართლეებს. ხომ გვყავდა ეს ძალები – ზვიად გამსახურდიათი დაწყებული და სულ კატაკლიზმები გვქონდა. ძალები არ მუშაობენ. ჩვენზეა ყველაფერი დამოკიდებული, ამიტომ უფრო მაღალ ღირებულებებზე უნდა ვიზრუნოთ... ზოგადად, საზოგადოება უნდა მოემზადოს ამისთვის. დავწყნარდეთ და მშვიდად წავიდეთ წინ. პარლამენტში უკვე სხვადასხვა პარტია შევიდა. ალბათ შემდეგი არჩევნების შემდეგ მეტი პლურალიზმი გვექნება და იქ გადავიტანოთ ყველა თემაზე მსჯელობა...“ – განაცხადა ლაშა პაპაშვილმა და დასძინა, რომ ვიდრე საზოგადოება პოლარიზებულია, „მოსამართლეებს ყველაფრის უფლება აქვთ“.

„როცა საზოგადოება გახლეჩილია, მოსამართლეს თუ პოლიციელს ყველაფრის კეთების უფლება აქვს, ხოლო როცა ერთნი ვართ, ეშინია და გადაცდომას ვერ ჩაიდენს, რადგან საზოგადოება თვალებში უყურებს და აბა, მიიღოს რამე უკანონო გადაწყვეტილება... ახლა კი ხან ერთ მხარეს მიეტმასნება, ხან – მეორეს და ასე იქნება. მე გადარჩენის ფორმულას გეუბნებით“ – ამბობს ბიზნესმენი.

# ნიკოლოზ გამყრელიძე: „წამლების ფასების ზრდის ძირითადი მიზეზი ლარის გაუფასურებაა“



„რამდენიმე კვირის წინ ჩვენი რეგულატორისგან საკმაოდ მკაცრი და არც ისე სამართლიანი განცხადება მოვისმინეთ, ეს ფარმაცევტულ სექტორს და წამლებზე ფასების რეგულირებას ეხება“ – ამის შესახებ „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის“ დირექტორმა ნიკოლოზ გამყრელიძემ გადაცემა BMG Drive-ში განაცხადა.

ნიკოლოზ გამყრელიძის თქმით, მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის საკითხი საკმაოდ მნიშვნელოვანია, თუმცა, ამ დისკუსიაში ფარმაცევტული კომპანიების „დემონიზაცია“ საკმაოდ საფრთხილოა, რადგან წამლის ფასის ზრდის ძირითადი მიზეზი არა აფთიაქების მოგების მარჟა, არამედ ლარის გაცვლითი კურსის გაუფასურებაა. ამასთან, ნიკოლოზ გამყრელიძე აღნიშნავს, რომ სახელმწიფოს მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის ზრდისთვის ფასის რეგულირების გარდა, სხვა მექანიზმების დანერგვაც შეუძლია.

„წამლებზე ხელმისაწვდომობა რომ მნიშვნელოვანია, ამაზე საუბარი არც არის. წამლების ფასი საიდან გამოდის, ესეც ძალიან ტრანსფარენტულია. შინაარსში შეუსვლელად სექტორის დემონიზაცია ძალიან საფრთხილოა. წამლების ფასების ზრდის ძირითადი მიზეზი ფარმაცევტული კომპანიების მოგების მარჟები არ არის, ამის ძირითადი მიზეზი ლარის გაუფასურებაა. იმპორტდამოკიდებული ქვეყანა ვართ, ამ დარგში 90%-ზე მეტი იმპორტირებულია.

ეს პროცესი პირდაპირ პროპორციულად დევალვაციაზეა მიბმული, ბოლო 3-4 წელია ქვეყანაში ორნიშნა დევალვაციაა. რეგულირება ყოველთვის შეიძლება, მაგრამ რეგულირებით რას მივიღებთ? არ ვამბობ, რომ ეს საკითხი მისახედი არ არის. ეს საკითხი მისახედია, მოსახლეობისთვის მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობა გასაზრდელია, მაგრამ ამისთვის სხვა მექანიზმები არსებობს, თუნდაც სახელმწიფოს ჩართულობის მექანიზმი. როდესაც სახელმწიფო გარანტირებული შემსყიდველი იქნება წამლის მომწოდებლისგანაც ბევრად უკეთეს პირობებს მიიღებს“ – განაცხადა გამყრელიძემ.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) საქართველოს ოფისი მთავრობას მედიკამენტების ფასების რეგულირებისკენ მოუწოდებს. ამის შესახებ ნათქვამია WHO-ს მიერ გამოქვეყნებულ კვლევაში, სადაც მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის საკითხს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. „ჯანდაცვის სერვისების ფასების სუსტი რეგულირება და პროვაიდერის შესაძლებლობა პაციენტებს ზედმეტი თანხა დააკისროს, ხელს უწყობს ჯიბიდან მაღალ გადახდებს და ოჯახების გაღატაკებას. არაფორმალური გადასახადების აღმოფხვრის მიმართულებით მნიშვნელოვანი პროგრესის მიუხედავად, საქართველოში პროვაიდერებს შეუძლიათ დაადგინონ საკუთარი ფასები და პაციენტებს მოსთხოვონ გადაიხადონ განსხვავება ფასსა და საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით დადგენილ ტარიფს შორის“ – ნათქვამია WHO-ს ქართული ოფისის კვლევაში.

# ნაცების საწინააღმდეგო ბანერები გიორგი იაკობაშვილის მითითებით გააკრეს



„არა ნაცებს! არა ბოროტებას!“ – ამ სათაურის პლაკატები ფორ ჯის რედაქტორისა და მოძრაობა „დავასრულოთ“ დამფუძნებლის გიორგი იაკობაშვილის ინიციატივით მისი მოძრაობის წევრებმა გააკრეს.

– იმ მიზნით გაიკრა, რა მიზნითაც არსებობს მედია, ხალხის ინფორმირება. უნდა დავასრულოთ ის დაპირისპირება, რომელიც საზოგადოებაში არსებობს და რომლის ინსპირატორი მუდმივად არიან „ნაციონალური მოძრაობა“ და მისი მხარდამჭერები, ჩვენი ჩრდილოელი მეზობლები ამ შემთხვევაში.

მინდა შევახსენო „ქართულ ოცნებას“, რომ სანამ არ გასამართლდებიან ეს მკვლელები, რომლებიც წლების განმავლობაში ატერორებდნენ მოსახლეობას და ატერორებენ ახლაც, როცა არიან ოპოზიციაში, სანამ ისინი არ დასრულდებიან, ამ ქვეყანას მშვიდობა არ ეღირსება. საქართველოში მოძალადეებისა და მკვლელების პარპაში უნდა დასრულდეს, – განაცხადა გიორგი იაკობაშვილმა „კურიერთან“ სატელეფონო საუბრისას.

ორი დღეა, დედაქალაქის ქუჩებში ახალი პლაკატები გამოჩნდა. ბანერების გაკვრა ახალგაზრდების გარკვეულმა ჯგუფმა დაიწყო, მოგვიანებით კი თბილისის მერიამ ამ თემაზე განცხადება გაავრცელა. განცხადების მიხედვით, მერიის მუნიციპალურმა ინსპექციამ გამოავლინა პირები, რომელთაც დედაქალაქის სხვადასხვა ქუჩაზე თვითნებურად გააკრეს პლაკატები და დაამახინჯეს ქალაქის იერსახე.

თითოეულ მათგანს 1000 ლარიანი ჯარიმა დაეკისრა.

გიორგი იაკობაშვილი მისი მოძრაობის წევრების დაჯარიმებას სოციალურ ქსელში გამოეხმაურა.

„ხალხი დამიჯარიმეს. პლაკატები ჩამომიხსნეს. ლამის ხალხის მტრად გამომაცხადეს... და ეს ყველაფერი გააკეთეს ერთ დღეში! ერთ დღეში!!!!!!

ხელისუფლებას ასე ოპერატიულად მაშინ რომ ემოქმედა, რუსთაველი ნაგვით, კარვებით და რურუას და მიშას პლაკატებით რომ გაავსეს, ცუდი არ იქნებოდა!!! ცუდი არ იქნებოდა კი არა, ტუალეტად, საპირფარეშოდ, ჩეჩმად და უბორნიად აქციეს იქაურობა. ის არ ამახინჯებდა, ხომ, ქალაქის იერსახეს?! თბილისის მერია, ნამეტანი ხომ არ მოგდით?! გაგიტკბათ დემოკრატიის თამაში??!!

ეგეთი ორმაგი სტანდარტები ენჯეოშნიკების მოგონილია და კარგი იქნება, თუ იმ გაიძვერა გიგაურს და „მოსასპობ (კაკოია) თაბაგარს არ დაემსგავსებით“ – დაწერა გიორგი იაკობაშვილმა.

# ზუგდიდში მდინარის ნაპირზე ქალის ცხედარი იპოვეს

23 ივლისს ზუგდიდში, „ფაიფურის“ ტერიტორიაზე, მდინარე ჩხოუშის ნაპირზე 50-წლამდე ქალის ცხედარი იპოვეს.

ლაივპრესის ინფორმაციით, ქალს ოჯახი 2 დღის განმავლობაში ეძებდა.

ადგილზე მობილიზებული იყო პოლიცია.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე, თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლით დაიწყო.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეჟერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ხაზარაძე და ვაშაძე მელიას თუ არ დაუჭერენ მხარს, ე.ი. „ოცნების“ მხარეზე არიან

## აკაკი ბობოხიძე: „ნუ შევადარებთ ამ არჩევნებს საპარლამენტოს, მაშინ შეთანხმება „ნაცმოძრაობის“ ინიციატივით ვერ შედგა“



იაგო ნაცვლიშვილი

**ოპოზიციის ერთმა ნაწილმა თბილისის მერობისა და საკრებულოს თავმჯდომარეობის საერთო კანდიდატები დაასახელა. თბილისის მერობისთვის ნიკა მელია იბრძოლებს, საკრებულოს თავმჯდომარეობისთვის — ელენე ხოშტარია, ხოლო ვიცე-მერად ზურაბ ჯაფარიძე დაასახელეს. პროცესს რიგი პარტიები არ შეუერთდნენ, თუმცა, როგორც ოპოზიციაში აცხადებენ, კარი ღიაა. რა განაცხადი გააკეთა ოპოზიციამ? რას ნიშნავს იმ პარტიების განაცხადი, რომლებიც შეთანხმებას არ შეუერთდნენ და რატომ თვლის, რომ რეალურად არჩევანი „ოცნების“ მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორისაა? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „ევროპული საქართველოს“ გენერალური მდივანი აკაკი ბობოხიძე საუბრობს.**

***— ოპოზიციამ დაასახელეთ ერთიანი კანდიდატები, თუმცა არ არის ოპოზიციის ის ერთობა, რისი მოლოდინიც იყო. რომელი პარტიები ხართ, ვინც შეთანხმდით ამაზე?***

— მე ვფიქრობ, რომ იმ პარტიებს, ვინც უკვე გააკეთა განაცხადი, შეუერთდებიან რიგი არასაპარლამენტო პარტიები და გადაწყვეტილების მისაღებად დრო რჩებათ „ლელოს“ და „სტრატეგია აღმაშენებელს“.

***— „სტრატეგია აღმაშენებელმა“ ცალსახად თქვა, რომ მელიას მხარს არ დავუჭერ და წაგებულ ბრძოლაში არ ჩავერთვებითო.***

— ეს საკმაოდ უცნაური განაცხადია, სიმართლე რომ ვთქვა. თუ რამეა მოგების განაცხადი ერთობის გარდა, დიდი სიამოვნებით მოვისმენდი. პარტიები გამოდიან ცალ-ცალკე და დამოკიდებულება, რომ ჩვენ ჩვენი ამომრჩეველი უნდა მივიყვანოთ არჩევნებზე, ეს ისედაც დგას დღის წესრიგში. არანაირად არ უშლის ეს ხელს მერების ერთიანი კანდიდატების დასახელებას.

***— რა განაცხადი გააკეთეთ პარასკევს ერთიანი კანდიდატების დასახელებით?***

— განაცხადი, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ არ ეყოლება თბილისში არც ერთი მაჟორიტარი კანდიდატი, ნიშნავს, რომ წარმატების შემთხვევაშიც კი, „ნაციონალურ მოძრაობას“ საკრებულოში ვერ ეყოლება უმრავლესობა. ამიტომ, როდესაც რიგი პარტიები ხაზს უსვამენ იმას, რომ უნდა დამთავრდეს ერთპარტიული მმართველობა და ორპოლუსიანობა, რომ თუ არ არის „ოცნება“, მაშინ არის „ნაცმოძრაობა“. მაგრამ ეს განაცხადი იძლევა გარანტიას, რომ შეუძლებელია იყოს „ნაცმოძრაობის“ ერთპარტიული მმართველობა. როდესაც 10 მაჟორიტარიდან არც ერთი არ არის მისი, შეუძლებელია, რომ საკრებულოში უმრავლესობა ჰყავდეს. თუკი შევხედავთ ასე, მელია პლუს საკრებულო, მაშინ აუცილებლად იქნება მრავალპარტიული საკრებულო. ერთპარტიულობას ამაგრებს ის, რომ მერი და საკრებულო ერთი მეორის გაგრძელებაა და რაც უნდა, რომ მერმა გაიტანოს, მას აუცილებლად აქვს საკრებულოს მხარდაჭერა. ის ფორმულა, რაც შევთავაზეთ თბილისის მცხოვრებლებს, რომ მელია მერობის კანდიდატი, ერთ-ერთი ყველაზე უფრო არშემგუებელი უსამართლობასთან, ასევე საკრებულოს თავმჯდომარეობის კანდიდატი ელენე ხოშტარია. როგორც გითხარით, ერთპარტიული მმართველობა გამორიცხულია და თუ ვინმე ამასაც ხელს შეუშლის, მაშინ არაერთპარტიულ მმართველობაზე ხელის შეშლა, ავტომატურად ნიშნავს „ქართული ოცნების“ ერთპარტიულ მმართველობაზე ხელის შეწყობას. მაშინ ვინმემ მითხრას, ამ პროცესზე არშეერთება რანაირად ნიშნავს „ოცნებისთვის“ ხელის შეშლას.

***— გია ხუხაშვილი ამბობს, რაც უფრო გაიშლება ფრონტი, მით უფრო სასარგებლოაო. არ ეთანხმებით?***

— ფრონტი გაშლილია და პარტიები დამოუკიდებლად იყრიან კენჭს და ამომრჩეველს აქვს შესაძლებლობა, რომ მისთვის სასურველ პარტიას დაუჭიროს მხარი.

***— თუ გახარია დაასახელებს კანდიდატს, ეს ოპოზიციისთვის მომგებიანია თუ აზარალებს მას?***

— მე ვერ ვხედავ შანსს, რომ გახარიამ წაიღოს ოპოზიციური ამომრჩევლის ხმები. თუ „ოცნებიდან“ წამოიღებს ხმებს, ღმერთმა ხელი მოუმართოს მაგ საქმეში.

***— მე პირადად ველოდი, რომ შეთანხმებას მიაღწევდით ბევრი პარტია, ჩაატარებდით დიდ ბრიფინგს და იქ გააჟღერებდით დეტალებს. რატომ ვერ შეძელით მსხვილი ერთობა, ვერ აუხსენით პარტიებს?***

— შეგნებულად გავაკეთეთ ასეთი სახის წარდგენა. იმიტომ, რომ უამრავი პარტიაა და მათ დავუტოვეთ საშუალება, რომ შემოუერთდნენ პროცესს. ეს გავაკეთეთ იმიტომ, რომ მათ არ ჰქონოდათ განცდა, რომ ისინი მეორეხარისხოვნები არიან. საბოლოო ჯამში, ყველანი აღმოვჩნდებით ერთი ფორმატით გაერთიანებულები და ერთი ფორმატის მონაწილენი. როდესაც ვიღაცა დგება ერთად და აკეთებს განცხადებას და ამბობს, რომ ჩვენ ერთად გადავწყვიტეთ და ახლა შეგიძლიათ შემოგვიერთდეთო, ასეთ შემთხვევაში ეს არის კონკრეტულად იმ ჯგუფის გადაწყვეტილება. არ არის ეს რომელიმე ერთი ჯგუფის გადაწყვეტილება. ჩვენ გვინდა, რომ ეს იყოს ისეთი ფორმატი, რომელშიც რაც შეიძლება მეტი პარტია მიიღებს მონაწილეობას.

***— გვახსოვს, რომ წინა საპარლამენტო არჩევნებზე ყველა უპირისპირდებოდით „ოცნებას“, მაგრამ ამავე დროს ერთმანეთთანაც გქონდათ საკმაოდ მწვავე პოლემიკა. მათ შორის, თქვენ და „ნაცმოძრაობასაც“. გვახსოვს თქვენი პარტიის კლიპები. ამისგან განსხვავებული იქნება კამპანია ახლა? შეთანხმდით, რომ ერთმანეთის მიმართ არ გქონდეთ მტრული რიტორიკა?***

— ჩვენ გვექნება ერთმანეთისგან განსხვავებული კამპანია. იმიტომ, რომ ყველა პარტია განსხვავებულია და ჩვენ უნდა დავანახოთ განსხვავებები. საპარლამენტო არჩევნებს ნუ შევადარებთ დღევანდელ ვითარებას. იმიტომ, რომ იქ შეთანხმება, სამწუხაროდ, ვერ შედგა, მიუხედავად „ევროპული საქართველოს“ მცდელობებისა. ამან გამოიწვია გარკვეული დოზით დაპირისპირებულობაც საარჩევნო კამპანიის დროს.

***— თქვენ გქონდათ ასეთი კამპანია, მიშაზე სწორება გქონდათ და ამ მხრივ რაღაცით „ოცნებასაც“ კი ჰგავდით.***

— გითხარით, რომ მაშინ შეთანხმება ვერ შედგა და, სამწუხაროდ, მათ შორის „ნაციონალური მოძრაობის“ ინიციატივითაც ვერ შედგა. ახლა უკვე შემდგარია შეთანხმება და, ბუნებრივია, რომ შეთანხმების ჩარჩოები განსაზღვრავს გარკვეულწილად საარჩევნო კამპანიას.

***— თქვენ შორის არის შეთანხმება შემდგარი, მაგრამ არიან კიდევ პარტიები, რომელთა პოზიციებიც არც თუ ისე უმნიშვნელოა. არ არის ის შეთანხმება, რასაც ბევრი ველოდით და მათ შორის, პირადად მეც.***

— მერე დავთვალოთ რაოდენობრივად ბევრი ელექტორალურად. როდესაც ბევრზე ვსაუბრობთ, სჯობს, რომ ელექტორალურ მაჩვენებლებზე ავიღოთ აქცენტი. იმიტომ, რომ შესაძლოა პარტიების რაოდენობა იყოს ბევრი, მაგრამ ამომრჩევლის თვალსაზრისით არც თუ ისე მნიშვნელოვანი.

მე მაინც მგონია, რომ ამომრჩეველი არჩევანს გააკეთებს ორ ბანაკს შორის — „ქართული ოცნების“ მომხრეებსა და მის მოწინააღმდეგეებს შორის.

***— ასეთი პოლარიზებული არჩევნები გვექნება?***

— პოლარიზებული არჩევანი იქნება ამ თვალსაზრისით. არ რჩება „ოცნება“ ხელისუფლებაში ან ხელს ვუწყობთ მის გაშვებას. იმისთვის, რომ „ქართული ოცნება“ გავუშვათ ხელისუფლებიდან, არ არის აუცილებელი, რომელიმე ერთი პარტიის მხარდამჭერი იყო. სწორედ ამ ფორმატს ვთავაზობთ ამომრჩეველს, რომელიც იძლევა საშუალებას, რომ მრავალფეროვნების გზით დავამარცხოთ „ოცნება“. როცა ვლაპარაკობთ „ოცნების“ გაშვებაზე, ვგულისხმობთ პარტიულ არჩევანს. რაც შეეხება მერის არჩევნებს, უნდა გავითვალისწინოთ, რომ მას ან იგებ, ან აგებ. ხმები არ ნარჩუნდება. მერის არჩევნების დამთავრებისთანავე შედეგები ნულდება და ერთი რჩება მოგებული, ხოლო დანარჩენი წაგებული, განსხვავებით პარტიებისგან, სადაც მომავალი 4 წლის განმავლობაში ინარჩუნებენ იმ ხმებს, რომელიც არჩევნებზე დაფიქსირდა. ამიტომ, როდესაც მრავალფეროვნებაზე ვლაპარაკობთ, ხაზი უნდა გავუსვათ იმას, რომ შესაძლოა მრავალფეროვნება ეხებოდეს პარტიულ არჩევნებს. ეს განსხვავებაა პარტიულ არჩევნებსა და მერის არჩევნებს შორის, ამიტომ ერთნაირი მოქმედება არ უნდა იყოს. ასე რომ, მრავალფეროვნებას ვერ შეინარჩუნებ მერის არჩევნებში. ნებისმიერ შემთხვევაში იქნება მხოლოდ ერთი მერი.

***— პარტიების ნაწილმა არ დაუჭირა მხარი მელიასა და ხოშტარიას კანდიდატურებს. მათთან კოორდინაციაც გამოირიცხება სხვადასხვა საკითხებზე?***

— არა, არ გამოირიცხება. ვიმეორებ, ჯერ კიდევ შემოუერთდებიან პარტიები. დარჩენილია მაჟორიტარებზე შეთანხმება თბილისში, ასევე მერობის კანდიდატები რეგიონებში. პროცესი ჯერ არ დასრულებულა და ნებისმიერ პარტიას შეუძლია შემოუერთდეს. კარი ღიაა და ყველა პარტია უნდა ფიქრობდეს, რა წვლილი შეუძლია შეიტანოს რეჟიმის დამარცხების საქმეში.

***— თბილისს გარეთაც ერთობლივ კანდიდატებს დაასახელებთ?***

— უნდა გავაანალიზოთ, როგორ სჯობს — ერთიანი კანდიდატის თუ ბევრი კანდიდატის დასახელება. თუ „ოცნება“ ახლოს არის პირველივე ტურში გამარჯვებასთან, მაშინ პოლარიზაცია გამარჯვების შანსს ხსნის, რადგან იქ ან ერთი იგებს, ან მეორე. სადაც „ოცნება“ ცუდ დღეშია, იქ, პირიქით, ოპოზიციამ უნდა მოახერხოს კოორდინაცია, რომ პირველივე ტურში დაამარცხოს „ოცნება“. მე მიმაჩნია, რომ საკმარისია 10-15 მუნიციპალიტეტში იყოს საერთო კანდიდატი, ხოლო 10-15-ში პირიქით, ბევრი კანდიდატი გვყავდეს. თუ ჩვენ 10-15 რაიონიდან მნიშვნელოვან რაოდენობაში მოვუგებთ „ოცნებას“, მაშინ დანარჩენ რაიონებში რომც იყოს მეორე ტური, პირიქით, ოპოზიცია იქნება უკეთეს მდგომარეობაში. ამიტომ, უნდა შევქმნათ წინასწარ პირობები იმის, რომ თუ მეორე ტურები იქნება, ის ოპოზიციისთვის იყოს სასარგებლო. ჩანდეს, რომ მოგება შესაძლებელია და მოგებული გვქონდეს რამდენიმე მუნიციპალიტეტი და რაც ყველაზე მთავარია, მოგებული გვქონდეს ე. წ. 43%-იანი ბარიერის პრობლემა.

# თამარ გაბუნია: „4.750 ადამიანს ფაიზერზე ჯავშანი არ დაუდასტურდა“

საქართველოს ჯანდაცვის მინისტრის მოადგილის თამარ გაბუნიას განცხადებით, 4,750 ადამიანს ფაიზერის ვაქცინაზე ჯავშანი არ დაუდასტურდა. გაბუნიას თქმით, ამ ადამიანების უმეტესობა „ბუსტერ“ დოზაზე რეგისტრაციას ცდილობდა, თუმცა ამჟამად საქართველოს ვაქცინაციის პროგრამა „ბუსტერ“ დოზებს არ ითვალისწინებს.




ეკატერინე ტიკარაძის მოადგილის თქმით, სამინისტრო გახსნის ამ დოზებზე რეგისტრაციის ხელახალ შესაძლებლობას.

„გუშინ დაიწყო რეგისტრაცია „ფაიზერის“ ვაქცინაზე, რომელიც დონაციის გზით მივიღეთ ამერიკის მთავრობისგან. გუშინ დღის ბოლომდე სულ დარეგისტრირდა 157 ათასამდე პირი, აქედან ჯავშანი დაუდასტურდა 142 195 ადამიანს, 4 750-ს კი ჯავშანი არ დაუდასტურდა, რადგან მათი ნაწილი უკვე ვაქცინირებული იყო და მაინც დარეგისტრირდა. ასევე იყვნენ მოქალაქეები, რომლებსაც რიგი მიზეზების გამო ჯერჯერობით არ უწევდათ აცრის გაკეთება, თუმცა მათაც შეიყვანეს მონაცემები ბაზაში. ასე რომ, ხუთი ათასამდე ჯავშანი არ შედგა და ეს ადგილები, ბუნებრივია, დაემატება პორტალს.

4.750 გაუქმებულ ჯავშანს უკავშირდება ისეთი მიზეზები, როგორიც არის ბუსტერ დოზაზე დარეგისტრირების მცდელობა ან უკვე არის აცრილი პირი, რომელმაც საიტის მუშაობის შემოწმების მიზნით შეიყვანა თავისი მონაცემები პორტალზე და დაიკავა ადგილი. ამას სჭირდება ადმინისტრაციული რესურსი, დრო იკარგება. თხოვნა მექნება, რომ მსგავსი ქმედება არ განახორციელონ, რადგან ბუსტერ დოზებს ჩვენი პროგრამა არ ითვალისწინებს და პროგრამული დადასტურება არ მოხდება“ — საზოგადოებრივი მაუწყებლის ინფორმაციით, განაცხადა თამარ გაბუნიამ.

# ხელფასიდან ჯარიმების დაკისრება, შესაძლოა, აიკრძალოს

## რა ინიციატივას განიხილავს პარლამენტი



ფულადი ჯარიმები სამსახურში, შესაძლოა, გაუქმდეს.

ამის შესახებ საკანონმდებლო წინადადებით მოქალაქე მაკა მინდაშვილმა პარლამენტს მიმართა.

საკანონმდებლო წინადადების ავტორის შეფასებით, საჭიროა შრომის კოდექსში ყველა სიტყვა ნათლად იყოს გაწერილი, რადგან დამსაქმებელს სიტყვებით მანიპულირების საშუალება არ მიეცეს.

მათ შორის, საკანონმდებლო წინადადება გულისხმობს, რომ სამსახურში აიკრძალოს ხელფასიდან ჯარიმების დაკისრება. იმ შემთხვევაში კი, თუ დასაქმებელი არ ასრულებს უფლებამოვალეობებს, შრომის კოდექსში გაწერილია სპეციალური მუხლი: სიტყვიერი გაფრთხილება, წერილობითი გაფრთხილება, საყვედური, სასტიკი საყვედური.

„თუ დასაქმებულს ოთხივე ფურცელზე ხელი აქვს მოწერილი, დამსაქმებელი უფლებას იტოვებს პირი დასაქმებული პოზიციიდან გაათავისუფლოს. შრომით ხელშეკრულებაში უკანონოდ ჩაითვალოს გაწერილი პუნქტი, რომლითაც — თუ დასაქმებული გადაწყვეტს სამსახურიდან წასვლას ან გაფრთხილების გარეშე სხვა სამსახურით ჩანაცვლებას, ჩამოეჭრას ხელფასის ნახევარი“— ვკითხულობთ საკანონმდებლო წინადადებაში.

მოქალაქის საკანონმდებლო წინადადების განხილვა ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტს დაევალა, გადაწყვეტილება კი კომიტეტმა პარლამენტის ბიუროს უნდა აცნობოს“.

# „მესამე ლოკდაუნს ვერც ბიზნესი და ვერც ქვეყანა ვერ გადაიტანს“

„მესამე ლოკდაუნს ვერც ბიზნესი და ვერც ქვეყანა ვერ გადაიტანს“ — ამის შესახებ „ბიზნესპრესნიუსთან“ საუბრისას „აი სი არ ჯგუფის“ ხელმძღვანელმა განაცხადა. კახა ხაზარაძე აცხადებს, რომ ინფიცირების მატების შესაჩერებლად ერთ-ერთი გზა კონტროლის მექანიზმის გაზრდაა. მისივე თქმით, კომპანიას 2022 წლისთვის აქვს გეგმები, თუმცა რამდენად განხორციელებადია ისინი, უახლოეს მომავალში არსებული ეპიდსიტუაცია გამოაჩენს.

„ამ ეტაპზე, პოზიტიური მოლოდინები გვაქვს 2022 წლისთვის. ვგეგმავთ, რომ გავხსნათ მულტიბრენდული მაღაზია. ასევე, გეგმაში გვაქვს ფეხსაცმლის 5 მაღაზია დავამატოთ, მაგრამ რამდენად რეალისტურია ჩვენი გეგმები, ამას მაინც აგვისტოსა და სექტემბერში ეპიდსიტუაცია გამოაჩენს. თუ ინფიცირების მაჩვენებელი ამ ტემპით გაიზარდა, რა თქმა უნდა, ყველა გეგმა შეუსრულებელი გახდება. ბიზნესმა ორი „ლოკდაუნი“ უკვე გაიარა, მესამე „ლოკდაუნს“ ვერც ბიზნესი და ვერც ქვეყანა ვერ გადაიტანს. ეს ყველამ ვიცით.



ამ ეტაპზე ეპიდსიტუაცია ნამდვილად არ ეტყობა ვაჭრობას, რადგან ფასდაკლებების პერიოდია, მაგრამ თუ ზრდა ამ ტემპით გაგრძელდა, რა თქმა უნდა, ეს აისახება მომხმარებლის ქცევაზეც, რომელსაც ახსოვს, რომ შედეგი ჩაკეტვაა. ინფიცირების მაჩვენებლის ზრდას ვერაფერი შეაჩერებს, თუ კონტროლის მექანიზმები არ გაზარდეს“ — განაცხადა ხაზარაძემ „ბიზნესპრესნიუსთან“.

მისივე თქმით, 2019 წელთან შედარებით პირველ 6 თვეში კლება საკმაოდ დიდია.

„ჩვენ ვნახეთ, რომ სტატისტიკით ეკონომიკის დიდი ზრდა გვაქვს, მაგრამ 2019 წლის ნიშნულს რომ შევადაროთ, ლარში არა, მაგრამ დოლარში, დიდი კლება გვაქვს. მოგეხსენებათ, თითქმის სრულად იმპორტზე ვართ მიბმული და ამ დროს 18%-იანი დევალვაცია ძალიან მაღალი და მნიშვნელოვნად ასახვადია“ — ამბობს ხაზარაძე.

# „სააკაშვილის მოწოდებებს და აქაური დამქაშების აქტიურობას ხალხი არ მიემხრო“

## ანზორ აბრალავა: „პოლიტიკურ ბაზარზე, პაექრობის ნაცვლად, დიდი აგრესია გვაქვს“

მარიამ მჭედლიშვილი

**ადგილობრივი არჩევნების წინ განსაკუთრებულ ყურადღებას თბილისის მერის არჩევა იწვევს. ხომ არ იკრიფება ისევ შუა? რატომ წარმოადგენენ ოპოზიციური პარტიების კანდიდატები ფაქტობრივად ერთ ძალას? რა მდგომარეობაა პოლიტიკურ ბაზარზე? ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ანალიტიკოსს, ყოფილ დეპუტატს, ანზორ აბრალავას.**



***– არჩევნების წინ მიჩვეული ვართ ძალების განლაგებას „შუას გაკრეფის“ პრინციპით. ოპოზიციის ნაწილმა თბილისის მერის პოსტზე ერთი პარტიის კანდიდატი წარმოადგინა, საკრებულოს თავმჯდომარედ – სხვა, მერობის მოადგილედ – სხვა. მაინც ხომ არ რჩება ისეთი შთაბეჭდილება, რომ შუა იკრიფება?***

– შუა გაკრეფილია და ვითარება არ იცვლება. არა მგონია, რომ ოპოზიციის კანდიდატები, რომლებზეც მეკითხებით, ერთმანეთისგან დაშორებული იყვნენ. ფაქტობრივად, მელია, ხოშტარია და ზურაბ-გირჩი ჯაფარიძე ერთნი არიან. ხოშტარია და ჯაფარიძე იყვნენ ნაციონალურ მოძრაობაში, რომელსაც შემდეგ შეუერთდა ნიკა მელია. სამწუხაროა, რომ პოლიტიკაში გადამწყვეტ სიტყვას ასრულებს კაპიტალი. ნაცმოძრაობის უკანაც დიდი ფული დგას. მომავალში უარესი იქნება და პოლიტიკაში წამყვან პოზიციებს დაიკავებენ ფულიანი ადამიანები, რომლებმაც გადაწყვიტეს პოლიტიკოსობა. მძიმე სურათი იქნება.

***– ვარაუდობთ, რომ წინა პლანზე პოლიტიკაში წამოვლენ ბიზნესმენები?***

– ამას მალაპარაკებს შექმნილი მდგომარეობა. პოლიტიკაში არიან ისინი, ვინც დიდი ფული იშოვა, ან ვის უკანაც დიდი კაპიტალი დგას. ეს ხალხი არ ფიქრობს და არც მომავალში იფიქრებს ხალხის და სახელმწიფოს ინტერესებზე. მათი მხრიდან საზოგადოების ინტერესების, განსაკუთრებით – სოციალური ინტერესების დაცვა მოსალოდნელი არაა. პოლიტიკური ბურჟუაზიის გარდა, მომრავლდნენ პოლიტიკური ავანტიურისტები. არც ერთ პარტიას, რომელიც წინა პლანზეა, არ გააჩნია იდეოლოგია. ავიღოთ სხვებთან შედარებით ახალი პარტია „ლელო“. პარტიას ვეძახით, თორემ, იქ ათასი ჯურის, სხვადასხვა შეხედულების ადამიანია თავმოყრილი. ეს არის ამორფული ჭრელი ნაკრები, რომელსაც ხელმძღვანელობენ საეჭვო რეპუტაციის ბიზნესმენები. „ლელოს“ წევრებს მერკანტილური მისწრაფებები აქვთ. ამ გაერთიანებაში ზოგიერთი მთელი პარტიის შემადგენლობით შევიდა. ეს პოლიტიკოსები დაიცავენ ხალხის ინტერესებს?!

***– ადგილობრივ არჩევნებში როგორია მათი შანსი?***

– მე მომავალზე ვლაპარაკობ. მომავალში შეიძლება პოლიტიკაში მივიღოთ ბურჟუაზია. რა, ნაცმოძრაობას ცოტა ფული აქვს? გარდა საზღვარგარეთ არსებული კაპიტალისა, ნაციონალებს გვერდით უდგანან ბიზნესმენები ოქრიაშვილი და ჩოჩელი. ფორმალურად მათ სხვა პარტია აქვთ, მაგრამ ამას მნიშვნელობა არა აქვს. რეალური პოლიტიკური კონკურენცია არ არის და არც ახლა იქნება. შესანიშნავი იდეებისა და პროგრამების მქონე პატიოსან გამოცდილ ადამიანებს უკარგავენ პოლიტიკაში გააქტიურების შესაძლებლობას. პარტიებს იდეოლოგია არა აქვთ.

***– ამის ბრალიცაა, რომ „ქართული ოცნება“ მეცხრე წელიწადია, ყოველი არჩევნების წინ, აქტიურებს წინა „სისხლიანი რეჟიმის“ თემას. ამ დღეებში შესაბამისი პლაკატებიც გამოიფინა.***

– გეთანხმებით. უნდა იყოს პროექტების, პროგრამების წარდგენა, დისკუსია და მსჯელობა, ხალხის პრობლემებზე საუბარი. ჩვენი ცხოვრება უნდა უმჯობესდებოდეს და არ უარესდებოდეს. სიტყვა „კეთილდღეობა“ ჰაერზე ნასროლ სიტყვად არ უნდა დარჩეს. არჩევნების წინ პოლიტიკოსები მას ფორმალურად ხმარობენ.

***– რით ახსნით ტენდენციას, რომელიც ბოლო დროს თბილისელებში გამოიკვეთა? ადამიანები, რომლებიც არ არიან არც ერთი პარტიის წევრები, აცხადებენ, რომ მერად აირჩევენ კალაძეს, ხოლო პარტიულ არჩევნებში არ დაუჭერენ მხარს არც „ოცნებას“, არც ნაცმოძრაობას და არც იმ ძალებს, რომლებიც რომელიმე მათგანთან იყო დაკავშირებული.***

– როგორც ჩანს, ამ ადამიანებს კახი კალაძისადმი უკეთესი განწყობა აქვთ, ვიდრე მთლიანობაში მისი პარტიის მიმართ. რა ხდება ჩვენს პოლიტიკურ ბაზარზე? პოლიტიკურ ბაზარზე, პაექრობის ნაცვლად, დიდი აგრესია გვაქვს. კონსტიტუციური წესრიგიც გვაკლია. ჩვენ რომ პოლიტიკურ ველზე ნორმალური სიტუაცია გვქონდეს და ქვეყანაში კონსტიტუციური წესრიგი და სტრუქტურების გამართული მუშაობა იყოს, არ დაგვჭირდებოდა შარლ მიშელის ჩართვა ჩვენს პროცესებში. უცხოელ მეგობრებს ჩვენთვის შეიძლება ცუდი არ უნდათ, მაგრამ რა გამოდის? ვახდენთ ჩვენი უფლებამოსილებების დელეგირებას. მსოფლიო ისტორიაში ცნობილია ფაქტები, როცა ესა თუ ის ქვეყანა სამეფო ტახტზე იწვევდა უცხოელს. ახლა 21-ე საუკუნეა, ჩვენ კი შუასაუკუნეობრივი აზროვნებით ვცხოვრობთ.

***– კალაძე და მელია ამომრჩეველს სხვადასხვა სიბრტყეებიდან ხომ არ ესაუბრებიან? კალაძეს აქვს სათქმელი ქალაქის მოწყობაზე, მის მეურნეობაზე, გაკეთებულსა და გასაკეთებელზე. მელია და მისი გუნდი ხალხს სიტუაციის შეცვლას და კოალიციურ მმართველობას სთავაზობენ.***

– ასე გამოდის. მელიას გუნდად ითვლება ხოშტარია და ჯაფარიძე. ესენი სხვადასხვა პარტიად ვერ ჩაითვლებიან. ცოტა ხნის წინ ერთად 30 პარტია იყო, მაგრამ მაშინაც არ იყვნენ არაფრის მაქნისები. სააკაშვილის მოწოდებებს და აქაური დამქაშების აქტიურობას ხალხი არ მიემხრო. ხალხს სხვა ძალები უნდა. დასანანია, რომ პოლიტიკის კაპიტალიზაცია მათ ასპარეზზე გამოსვლის საშუალებას არ აძლევს.

***– პოლარიზაცია ჩვენი პოლიტიკისა და საზოგადოების ატრიბუტია. ბოლო ხანს პოლარიზაციის და საშინელი პროცესების საბაბი გახდა ლგბტ-თემატიკა.***

– მართლაც, ეს იქცა მთავარ თემად და რაც სამწუხაროა, აგრესიის საფუძვლად. პირადად მე კატეგორიულად ვგმობ ძალადობისა და აგრესიის ნებისმიერ გამოვლინებას. ამასთან, ღიად ვამბობ, რომ არა ვარ ულტრალიბერალიზმის მომხრე და არ მომწონს გეი-პარადი. ამ თემაზე ლაპარაკი შესაძლებელია არჩევნების წინაც. ამ საკითხებზე მსჯელობა არ უნდა გასცდეს მშვიდობიან ფარგლებს. ამომრჩეველს უნდა განემარტოს, რომ 15-მა პარტიამ „თბილისი პრაიდთან“ გააფორმა მემორანდუმი. ეს პარტიები მხარს უჭერენ ნებისმიერ ლგბტ-ღონისძიებას. შეიძლება ისე მოხდეს, რომ ერთ მხარეს აღმოჩნდეს ეს 15 პარტია, მეორე მხარეს კი – დანარჩენი საქართველო.

***– წელან მოსახლეობის კეთილდღეობა ახსენეთ. გითქვამთ, ამის მიღწევა შეუძლებელია ანტიმონოპოლიური ნაბიჯების გადადგმის გარეშე. ამ მხრივ რამე კეთდება?***

– ანტიმონოპოლიური ზომები უნდა იყოს სწრაფი და მკაცრი. ეს ადვილი არ არის. ადამიანს ვერავინ ვერ უნდა შეუშალოს ხელი თავის ეკონომიკურ საქმიანობაში. ვინც უშლის ხელს – ბიზნესმენი იქნება თუ ბიუროკრატიის წარმომადგენელი, უნდა დაისაჯოს. მან უნდა გადაიხადოს ჯარიმა, გათავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან და ასე შემდეგ. მონოპოლიური და ოლიგოპოლიური საქმიანობა ჩვენ ბევრგან გვაქვს. სახელმწიფომ ეს უნდა მოაგვაროს. სრული ლიბერალიზმი და სახელმწიფოს განზე გადგომა ეკონომიკიდან მოძველებული შეხედულებაა. სახელმწიფომ ბიზნესს ხელი არ უნდა შეუშალოს. ეს არ ნიშნავს ყველაფრის თვითდინებაზე მიშვებას და ხელების დაბანას. ეკონომიკური დავებისთვის უნდა შეიქმნას არბიტრაჟი. არბიტრაჟი და მოქნილი საგადასახადო სისტემა, დროებითი შეღავათები დამწყები მეწარმეებისთვის ანტიმონოპოლიურ ზომებთან ერთად ხელს შეუწყობს კონკურენტულ გარემოს და მისცემს ადამიანებს ამოსუნთქვის საშუალებას.

# „ოპოზიციის ნაწილმა შეცდომა დაუშვა, ნაწილი „ოცნებას“ შეეკრა“

## ლაშა ჩხარტიშვილი: „ივანიშვილი არის ჩვეულებრივი შულერი, რომელიც ორი ხელითა და ორი სახით ეთამაშება საზოგადოებას“

ნათია ხურცილავა

**„ლეიბორისტული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი ლაშა ჩხარტიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**




***– ლაშა, რამდენად შეძლებს ამ პოზიციით ოპოზიცია ამ არჩევნებზე გარდატეხის შეტანას?***

– საზოგადოების სათანადო აქტიურობისა და ჩართულობის პირობებში უნდა შეძლოს. ამ არჩევნების მთავარი და ერთადერთი ამოცანა რეფერენდუმში გამარჯვება და შემდეგ რიგგარეშე არჩევნები გახლავთ. სწორედ ამ არჩევნებით უნდა გავუშვათ ივანიშვილი. მეორეხარისხოვანია თვითმმართველობა, მით უმეტეს, მერობისთვის ბრძოლა. მთავარია ოპოზიციამ ჯამურად, ყველა პარტიამ ერთად, ივანიშვილის რეჟიმს აჯობოს. ამ ამოცანის შესასრულებლად ნამდვილად არ არის საჭირო ხელოვნური გაერთიანება. ჯობია ყველა პარტიამ დამოუკიდებლად მიიღოს მონაწილეობა, რათა მაქსიმალურად ბევრ ამომრჩეველს ჰქონდეს არჩევანის შესაძლებლობა. ეს თავისთავად ჯამში უფრო მეტ შედეგს მოგვცემს. ბევრად უფრო მეტი ამომრჩეველი გამოვა არჩევნებზე და მიიღებს მონაწილეობას. ოპოზიციას ამ შემთხვევაში ჯამური შედეგი უფრო აინტერესებს, რადგან, როგორც გითხარით, ამ არჩევნების უმთავრესი დანიშნულება ახალი რიგგარეშე არჩევნებია.

***– მაინც რატომ ვერ შეძლო ოპოზიციამ გაერთიანება? მთავარი მიზეზი რა იყო?***

– ერთი მიზეზი გითხარით. მეორე მიზეზი ჩვენთვის, „ლეიბორისტებისთვის“ ნამდვილად იყო ივანიშვილის გაყალბებული პარლამენტის დატოვების მოთხოვნა. ჩვენ ვნახეთ, რაც დაძლია ივანიშვილმა ერთპარტიული პარლამენტი და ოპოზიციის ნაწილი შევიდა პარლამენტში, მოხდა ის, რაც მოხდა. ტოტალური შეტევა ქვეყანაზე. მის ყველა სეგმენტზე. ჟურნალისტებზე განხორციელებული ტოტალური შეტევა, რასაც მოჰყვა წულუკიანის საოცარი საქციელი. არც ერთი დიქტატურის მაღალჩინოსანს მსგავსი რამ არ ჩაუდენია.

ამიტომ, ჩვენ ვითხოვდით ოპოზიციისგან, რომ მათ პარლამენტი დაეტოვებინათ. შეუძლებელია ამ პარლამენტის „გაპრავება“. ვთვლიდით და დღესაც ვთვლით, რომ ოპოზიციის ნაწილის მხრიდან ეს იყო აშკარა შეცდომა, ნაწილის მხრიდან – გარიგებაც კი.

***– კალაძის წინასაარჩევნო კამპანიაზე მინდა გკითხოთ. უკვე სავარაუდოა, რა ტიპის შეიძლება იყოს „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო კამპანია. ძალადობისგან რომ არ იქნება წინასაარჩევნო გარემო დაცლილი, ამაზე მეტყველებს ის პლაკატები, რომელიც უკვე ქუჩებში გამოჩნდა. თუმცა, მერია ოფიციალურად ემიჯნება და აცხადებს, რომ ეს მათი შემოქმედება არ არის.***

– დავით ნარმანიას განცხადება მახსენდება ამაზე: გახსოვთ, რომ თქვა, მოქალაქეთა დაუდგენელი ჯგუფები თხრიან თბილისის ქუჩებსო. სწორედ ამას ჰგავს კალაძის განცხადება ამ სამარცხვინო პლაკატებთან დაკავშირებით. ორმაგად სამარცხვინო და მიუღებელია ამ პლაკატებზე მედიის წარმომადგენლების გამოჩენა. დღეს ერთადერთი შემაკავებელი ალვირახსნილი ხელისუფლების, არის საჯაროობა.

***– უარყოფა ერთგვარ უკანდახევად ხომ არ არის ხელისუფლების მხრიდან? შეიძლება მოსინჯეს და რადგან საზოგადოებისთვის მიუღებელი აღმოჩნდა, ავტორობაზე უარი თქვეს?***

– არა, არა მგონია ამასთან, ამ ბოროტების გაცნობიერებასთან გვქონდეს საქმე. ივანიშვილი არის ჩვეულებრივი შულერი, რომელიც ორი ხელითა და ორი სახით ეთამაშება საზოგადოებას. რა თქმა უნდა, ის ცდილობს შეინარჩუნოს დემოკრატი მმართველის იმიჯი, ამიტომ სჭირდება მას ასეთი სვლები. ჩაიდენს ბოროტებას და მერე ჩვეულებრივად ამბობს, რომ ეს მას არ ჩაუდენია. ეს სხვამ ჩაიდინა. რა თქმა უნდა, მას არ აწყობს, რომ ღია ავტოკრატის იმიჯი ჰქონდეს, ამიტომ არის ასეთი მოჩვენებითი ეს ყველაფერი.

რაც ხდება კოვიდეპიდემიასთან დაკავშირებით, უშუალოდ ჩვენს ქვეყანაში არის არათუ ავტოკრატია, პირდაპირ დიქტატურაა. კონკრეტულად აგიხსნით რას ვგულისხმობ: ამდენი მილიარდი ვალის შემდეგ, რომელიც ჩვენი გადასახდელია, მთავრობამ ვერ შეძლო ხარისხიანი ვაქცინის შემოტანა, მაგალითად, „ფაიზერის“. მხოლოდ ამერიკისგან ნაჩუქარი „ფაიზერის“ ვაქცინა გვაქვს. ვერც ის შეძლო, რომ ვაქცინაციისთვის სერიოზულად მოება თავი და ამდენი სიცოცხლე არ გაწირულიყო. 4.500 ადამიანია დღეს გარდაცვლილი კოვიდით, ეს პირდაპირ მთავრობის პასუხისმგებლობაა. თავის დროზე ხარისხიან ვაქცინას თუ შემოიტანდნენ და როგორც წესი და რიგია მოახდენდნენ ადმინისტრირებას, იქნებ ნახევარი სიცოცხლე მაინც გადაგვერჩინა, მაგრამ ეს ხელისუფლება იქცევა, როგორც დიქტატორი. როდესაც მოინდომებს, პოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე ჩაკეტავს, როცა მოინდომებს, ასევე პოლიტიკური მოტივაციებით, გახსნის. რა თქმა უნდა, დარწმუნებული ვარ, ახლაც წინასაარჩევნოდ სურთ კოვიდაფეთქება მოაწყონ. ამიტომ ვხედავთ იმას, რასაც ვხედავთ. არაფერი არ კეთდება, რომ ადამიანები უფრო დაცულები იყვნენ.

# ისრაელის საზღვრის დახურვით საქართველოს მეორე უმსხვილესი ტურისტული მიმართულება შეუჩერდა



რამდენიმე დღის წინ ისრაელის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, საქართველო „წითელი ზონის“ ქვეყნებში შეეყვანა, რაც COVID-19-ის გავრცელების ახალ ტალღას უკავშირდება. შედეგად, ისრაელელი ვიზიტორებისთვის საქართველოში გამგზავრება ნებადართული აღარ იქნება (გამონაკლისი შემთხვევების გარდა).

ამ გადაწყვეტილების შედეგად, საქართველოსთვის მეორე უმსხვილესი ტურისტული მიმართულება შეჩერდა, რადგანაც ივნისის მდგომარეობით, ისრაელი ტურისტულ სტატისტიკაში, თურქეთის შემდეგ, მეორე ადგილს იკავებს. კერძოდ, ივნისის მდგომარეობით, ისრაელიდან საქართველოში 15,837 ვიზიტორი იმყოფებოდა.

**ივნისის მდგომარეობით, საქართველოსთვის ტოპ 10 ტურისტული ქვეყანა ასე ნაწილდებოდა:**

1. თურქეთი – 29,606 ვიზიტორი, ზრდა წინა წელთან 87,0%
2. ისრაელი – 15,837 ვიზიტორი, ზრდა წინა წელთან 3432%
3. უკრაინა – 15,493 ვიზიტორი, ზრდა წინა წელთან 1324%
4. რუსეთი – 14,967 ვიზიტორი, ზრდა წინა წელთან 332%
5. სომხეთი – 13,342 ვიზიტორი, ზრდა წინა წელთან 68,7%
6. საქართველო (არარეზიდენტი) – 10,863 ვიზიტორი, ზრდა წინა წელთან 372,5%
7. ყაზახეთი – 7,328 ვიზიტორი, ზრდა წინა წელთან 1374,4%
8. აზერბაიჯანი – 6,900 ვიზიტორი, ზრდა წინა წელთან 92,2%
9. საუდის არაბეთი – 6,046 ვიზიტორი, ზრდა წინა წელთან
10. ბელარუსი – 3,809 ვიზიტორი, ზრდა წინა წელთან 381,5%

საქართველოში ისრაელის საელჩოს ცნობით, აღნიშნული სტატუსის გადახედვა ყოველკვირეულად მოხდება და საქართველოში ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების შემთხვევაში, შესაბამისი შეზღუდვები შემცირდება, ან მოიხსნება.

შეგახსენებთ, რომ 16 ივლისს ისრაელმა საქართველო თურქეთთან, ბრიტანეთთან და კვიპროსთან ერთად იმ ქვეყნების ჩამონათვალში შეიყვანა, საიდანაც დაბრუნებულ მოქალაქეებს ერთკვირიანი თვითიზოლაციის გავლა მოუწევთ.

# ზუგდიდში გრამიტონ ლაგვილავას მკვლელობისთვის ზაალ კვიკვინია დააკავეს

## ადვოკატი: „კვიკვინია აუცილებელი მოგერიების ფარგლებში მოქმედებდა“

23 ივლისს, დილით ზუგდიდში, საკონსერვოს დასახლებაში მკვლელობა მოხდა.

ცეცხლი ბენზინგასამართ სადგურზე მანქანაში მყოფ მამა-შვილს გაუხსნეს. 65 წლამდე გრამიტონ ლაგვილავა ადგილზე გარდაიცვალა, დაჭრილი ნუკრი ლაგვილავა კი საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც მას გადაუდებელი ოპერაცია ჩაუტარდა.

გარდაცვლილის შვილი პოლიციის თანამშრომელია. მკვლელობაში ეჭვმიტანილი ზაალ კვიკვინია ბენზინგასამართი სადგურის ერთ-ერთი მეწილეა. მან 3 წლის წინ, ბიზნესდავის გამო, სხვა პირიც დაჭრა.

იმავე დღეს ზაალ კვიკვინია პოლიციამ დააკავა. ამოღებულია იარაღიც, რომლითაც 65 წლის გრამიტონ ლაგვილავა მოკლეს, მისი შვილი კი დაჭრეს.

ვიდეოში, რომელშიც ინციდენტია დაფიქსირებული, ჩანს, როგორ ეჯახება უკუსვლით მოძრავი ზაურ კვიკვინიას მანქანა სხვა მანქანას, რომელშიც, სავარაუდოდ, არავინ იჯდა. კვიკვინიასთან მაშინვე მივარდება 2 პიროვნება და მანქანიდან მის გადმოყვანას ცდილობს. ტყდება ჩოჩქოლი, რომელსაც შედეგად 1 ადამიანის სიკვდილი და მეორის დაჭრა მოჰყვა.

24 ივლისს ზაალ კვიკვინიას პროკურატურამ ბრალდება წარუდგინა.

„საქართველოს პროკურატურამ ზუგდიდში მომხდარი მკვლელობის ფაქტზე, დამამძიმებელ გარემოებებში ორი ადამიანის განზრახ მკვლელობის მცდელობის, ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარების მუხლებით ზ.კ-ს ბრალდება წარუდგინა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 23 ივლისს, ზუგდიდში ცეცხლსასროლი იარაღებით შეიარაღებულმა ზ.კ.-მ შურისძიების მოტივით, განზრახ მოკვლის მიზნით ყოფილი ბიზნესპარტნიორის გ.ლ.-სა და მისი შვილის გ.ლ.-ს მიმართულებით რამდენჯერმე გაისროლა. სროლის



შედეგად მიღებული დაზიანებებით გ.ლ. ადგილზე გარდაიცვალა, ხოლო მისი შვილი დროულად გაწეული სამედიცინო დახმარების შედეგად სიკვდილს გადაურჩა.

სამართალდამცველებმა ზ.კ იმავე დღეს დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19, 109-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (განზრახ მკვლელობის მცდელობა, ჩადენილი ორი პირის მიმართ) და 236-ე მუხლის მესამე და მეოთხე ნაწილებით (ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება) წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 16 წლიდან 20 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პროკურატურა ბრალდებულისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების შუამდგომლობით სასამართლოს კანონით დადგენილ ვადაში მიმართავს. სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება გრძელდება“ – ნათქვამია გენერალური პროკურატურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

გუშინ, 25 ივლისს, ზაურ კვიკვინიას აღმკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

აღნიშნული გადაწყვეტილებით ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მოსამართლემ ფატი ფურცხვანიძემ პროკურატურის შუამდგომლობა დააკმაყოფილა.

ბრალდებული თავს ნაწილობრივ მიიჩნევს დამნაშავედ და ამბობს, რომ ის „აუცილებელი მოგერიების პრინციპით მოქმედებდა“.

დაკავებულის ადვოკატის ვასილ მამულაშვილის განცხადებით, გადაწყვეტილებას გაასაჩივრებენ.

– ჩვენ ხვალვე გავასაჩივრებთ აღნიშნულ განჩინებას. განჩინება ჩაგვაბარეს 15 წუთში, რაც სრული აბსურდია და მიუთითებს, რომ ასეთ რეჟიმში დასაბუთება, ეს არის შაბლონი. რასაც ვთხოვდით სასამართლოს, რომ არ ჩაებარებინა და არ მიეღო შაბლონური გადაწყვეტილება. პრინციპში, სხვას არც ველოდით, რა მართლმსაჯულებაც გვაქვს, გამოჩნდა აღნიშნულ სასამართლო სხდომაზე.

ჩვენ შევაგროვებთ შესაბამის მტკიცებულებებს, რითაც დადგინდება, რომ არანაირ დანაშაულს ანუ მართლსაწინააღმდეგო ქცევას ადგილი არ ჰქონია.

ჩვენ მივუთითებდით, რომ მკვლელობის განზრახვა მას არ ჰქონია და იგი მოქმედებდა აუცილებელი მოგერიების ფარგლებში. დანაშაულის სუბიექტური ნიშანი ანუ განზრახვა უნდა წარმოჩინდეს სხვადასხვა ფაქტობრივი გარემოებებით, ერთი მნიშვნელოვანია თავად ბრალდებულის ქცევა, ამ ქმედების განხორცელებამდე განხორციელების მომენტში და უკვე შემდგომში. სამივე შემთხვევაში ბატონ კვიკვინიას არანაირი განზრახვა არ ჰქონია. ერთადერთი, რისი განზრახვაც ჰქონდა, იყო სხვისი ნივთის დაზიანება. ეს არ არის კარგი ქცევა, მოსაწონი ქცევა, თუმცა ეს ვერ მოგვცემს ჩვენ მკვლელობის შემადგენლობას, – განაცხადა ვასილ მამულაშვილმა.

# შარტავას ქუჩაზე დ.კ-ს 6 პირი, მათ შორის, 1 ქალი, თავს დაესხა

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, კომპლექსურად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები: 1998 წელს დაბადებული დ.ს., 1998 წელს დაბადებული ვ.ჯ., 1990 წელს დაბადებული ლ.ხ., 2002 წელს დაბადებული ნ.ზ., 1981 წელს დაბადებული რ.ა. და 1994 წელს დაბადებული კ.ლ. ჯგუფურად განხორციელებული ძარცვის, ყაჩაღობის, თავისუფლების უკანონო აღკვეთის და წამების ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 9-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულები მიმდინარე წლის 14 ივლისს, თბილისში, შარტავას ქუჩაზე მდებარე ნაქირავებ ბინაში, თანხის გამოძალვის მიზნით თავს დაესხნენ 1993 წელს დაბადებულ დ.კ-ს, მასზე განახორციელეს ფიზიკური ძალადობა, სიცოცხლის მოსპობის მუქარით წაართვეს თანხა და სხვა პირადი ნივთები, შემდეგ კი აღუკვეთეს თავისუფლება.

სამართალდამცველების მიერ მოპოვებული მტკიცებულებებით დგინდება, რომ ბრალდებულები მთელი ღამის განმავლობაში სხვადასხვა საგნით ახორციელებდნენ დ.კ.-ის წამებას, რის შემდეგაც ბრალდებული დ.ს.-ის მართვის ქვეშ არსებული ავტომობილით გაიყვანეს ქალაქგარეთ, სადაც კვლავ იძალადეს მასზე, ხოლო მოგვიანებით თავისი საცხოვრებელი სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე მიატოვეს.

პოლიციამ ასევე დაადგინა, რომ მიმდინარე წლის 18 ივლისს, ღამით, ბრალდებულები – ვ.ჯ. და კ.ლ. იგივე მოქალაქეს – დ.კ.-ს სახლიდან გასვლის დროს თავს დაესხნენ, ბლაგვი საგნით დაზიანება მიაყენეს და ფიზიკურად გაუსწორდნენ. დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები მისი საცხოვრებელი ბინიდან მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლნენ მობილურ ტელეფონებს, მაჯის საათს და საფულეს, შემდეგ კი შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.



სამართალდამცველებმა, შეტყობინების მიღებისთანავე, აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე აქტიური საგამოძიებო მოქმედებები ჩაატარეს, დაიკითხა როგორც დაზარალებული, ასევე, სხვა პირებიც, დაინიშნა ექსპერტიზები, ჩატარდა ამოცნობები, რა დროსაც დაზარალებულმა დ.კ.-მ მის მიმართ განხორციელებულ თავდასხმაში მონაწილე ექვსივე პირი ამოიცნო.

ჯგუფურად განხორციელებული ძარცვის, ყაჩაღობის, თავისუფლების უკანონო აღკვეთის და წამების ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144-ე პრიმა მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით, 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ პუნქტით, 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და 178-ე მუხლით მიმდინარეობს.

# თურქეთის მოქალაქე 2 კგ ჰეროინის შემოტანისთვის თბილისის აეროპორტში დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტისა და სსიპ შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლებმა ერთობლივად ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე, 1979 წელს დაბადებული ა.გ. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და საქართველოში უკანონოდ შემოტანის ფაქტზე, თბილისის საერთაშორისო აეროპორტში დააკავეს.

დანაშაული 8-დან 20 წლამდე ვადით ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლებმა ა.გ.-ს კუთვნილი ბარგისა და ხელბარგის შემოწმების შედეგად, სამგზავრო ჩანთაში, წინასწარ მოწყობილ სამალავში დაახლოებით 2 კილოგრამამდე ნარკოტიკული საშუალება „კოკაინი“აღმოაჩინეს.

სამართალდამცველებმა ნარკოტიკული საშუალება „კოკაინი“ ნივთმტკიცების სახით ამოიღეს.

ამ ეტაპზე, გამოძიებით დგინდება, რომ ბრალდებულმა ნარკოტიკული საშუალება, სავარაუდოდ, ბრაზილიის რესპუბლიკაში შეიძინა და ტრანზიტული გზით საქართველოში შემოიტანა.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და საქართველოში უკანონოდ შემოტანის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-6 და 262-ე მუხლის მე-4 ნაწილებით მიმდინარეობს.

# საზღვარზე უზბეკეთის მოქალაქე მანქანის მისაბმელში საბურავების ღერძთან იპოვეს

სახელმწიფო საზღვარზე მიგრანტის უკანონოდ გადაყვანის მცდელობისა და სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის მცდელობის ფაქტზე, თურქეთისა და უზბეკეთის რესპუბლიკების მოქალაქეები დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე ე.თ.-ს განზრახული ჰქონდა საქართველოში მყოფი მიგრანტის, უზბეკეთის რესპუბლიკის მოქალაქე ი.ი.-ს საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე უკანონოდ გადაყვანა თურქეთის მიმართულებით.

განზრახვის აღსრულების მიზნით, ე.თ.-მ თავისი მართვის ქვეშ არსებული სატვირთო ავტომანქანის მისაბმელის უკანა ნაწილში, საბურავების ღერძსა და ჩარჩოს შორის მოათავსა ი.ი., რამაც მიგრანტის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას საფრთხე შეუქმნა.

ორივე მათგანი ვალეში საზღვრის კვეთის დროს დააკავეს.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19-344-ე მუხლის პირველი ნაწილით და 19-344-ე პრიმა მუხლის მეორე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, რაც გულისხმობს საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის მცდელობას და სახელმწიფო საზღვარზე მიგრანტის უკანონოდ გადაყვანას მიგრანტის სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნით.

# მალხაზ გველუკაშვილის 18 წლის შვილი გერმანიაში მე-7 სართულიდან გადავარდა და დაიღუპა



22 ივლისს გერმანიაში, ქალაქ ვოლფსბურგში, თავისი საცხოვრებელი სახლის მეშვიდე სართულიდან 18 წლის ქართველი ბიჭი გადმოვარდა და გარდაიცვალა.

გარდაცვლილი ცოტნე გველუკაშვილია, რომელსაც იქ მცხოვრები ქართველები ძალიან კარგად ახასიათებენ – ნიჭიერი, კეთილი, მოწესრიგებული ბიჭიაო, ამბობენ, ვინც მას იცნობდა.

მამა, მალხაზ გველუკაშვილი – საქართველოში საკმაოდ ცნობილი ეზოთერიკოსი და მეტაფიზიკოსი და ოკულისტია. დედა – მუსიკოსი, თამარ გადალაძე.

ცოლ-ქმარი ამჟამად ფსიქიატრიულ კლინიკაშია გადაყვანილი, სუიციდის თავიდან აცილების მიზნით, რადგან ტრაგედიის გამო მათი მდგომარეობა შემაშფოთებელი გახლდათ.

მალხაზ გველუკაშვილი წინა ხელისუფლებამ 2009 წელს დააპატიმრა. მან სასჯელაღსრულების დაწესებულება 2012 წლის დეკემბერში დატოვა, 2015 წელს კი ოჯახთან ერთად საქართველოდან წავიდა.

# ჩოხატაურში ყოფილმა პოლიციელმა მასწავლებელი და მისი შვილი გაიტაცა

ჩოხატაურში ძალადობის მსხვერპლი მოსწავლის ახლობლები სავარაუდო მოძალადეს გაუსწორდნენ. ტვ პირველის ინფორმაციით, მასწავლებელი, რომელსაც მოსწავლის მიმართ ჩადენილ სექსუალურ ძალადობაში ადანაშაულებენ, შვილთან ერთად გაიტაცეს და სცემეს. გამტაცებელი ტატო ვასაძე ყოფილი პოლიციელი და მსხვერპლის ახლობელია.

არსებული ინფორმაციით, გატაცებულ მასწავლებელს და მის შვილს ფულიც გამოსძალეს. მომხდარის შესახებ მასწავლებელმა პოლიციას ჩვენება უკვე მისცა.

– არანაირ სექსუალურ ძალადობას ადგილი არ ჰქონია. ჩემი დაცვის ქვეშ მყოფმა, როცა ის აბიტურიენტს მისსავე კომპიუტერში გამოსახულ საკითხზე შეკითხვას პასუხობდა, 64 წლის კაცია, პასუხისას ცალი ხელით დაეყრდნო 18 წლის გოგონას მუხლს და მეორე ხელით აუხსნა აბიტურიენტს საკითხი, ეს სულ განმეორდა ორჯერ, მეორეჯერ გოგონამ ხელი ააღებინა, ადამიანი შეწუხდა, ეს რატომ იფიქრა სხვანაირადო და იმ წამსვე ათასი ბოდიში მოუხადა მამაშვილურად. რა მოხდა მერე, მე სკოლაში პედაგოგები მეალერსებოდნენ, ყველაფრის ხაზგადასმა ხომ არ შეიძლება, – განაცხადა ბრალდებული პედაგოგის ადვოკატმა დავით მამალაძემ. ჩოხატაურის პოლიციამ ამ დღეებში აღნიშნული საჯარო სჯოლის 64 წლის ისტორიის მასწავლებელს, აბიტურიენთთან, რომელიც ამავე სკოლის მოსწავლე იყო, სექსუალური ძალადობის მაგვარი ქმედების გამო ბრალი წაუყენა.

# შვედეთის მოქალაქის თანხის თაღლითურად დაუფლების ფაქტზე საქართველოს 3 მოქალაქე დააკავეს

საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ, შვედეთის სამეფოს მოქალაქის დიდი ოდენობით თანხის თაღლითურად დაუფლების და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტზე, საქართველოს 3 მოქალაქე დააკავა.

გამოძიებით დადგინდა, რომ არარეზიდენტი ფიზიკური პირის ფულადი თანხის მოტყუებით დაუფლების მიზნით, ა.ჩ.-მ ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე დააფუძნა არარეზიდენტი საწარმო, რომლის სახელზეც საბანკო ანგარიში გახსნა ჩეხეთის რესპუბლიკაში მოქმედ საბანკო დაწესებულებაში.

„ა.ჩ.-მ, ზ.დ.-მ და თ.წ.-მ, დანაშაულებრივი ჯგუფის წევრების მეშვეობით, სატელეფონო კომუნიკაცია დაამყარეს შვედეთის სამეფოს მოქალაქესთან, რომელსაც წარსულში დაკარგული აქციების დაბრუნებაში თითქოსდა დახმარების აღმოჩენის პროცესში, ჯამში 73.000 ევრო (226.947.5 ლარი) მოტყუებით გადაარიცხინეს ჩეხეთში, ა.ჩ.-ს მიერ დაფუძნებული არარეზიდენტი საწარმოს საბანკო ანგარიშზე, რასაც ა.ჩ., ზ.დ. და თ.წ. მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლნენ.

შემდგომში, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული თანხის ნაწილი, კანონიერი სახის მიცემის, ლეგალიზაციის მიზნით, ბრალდებულებმა დაანაწევრეს და არარეზიდენტი საწარმოს საბანკო ანგარიშიდან გადმორიცხეს საქართველოში, ა.ჩ.-ს, თ.წ.-ს და მათთან დაკავშირებული პირის საბანკო ანგარიშზე.

აღნიშნული ქმედებებით, ა.ჩ.-მ, ზ.დ.-მ და თ.წ.-მ ჯამში 48.900 ევროს (151.416.9 ლარი) უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია მოახდინეს.

ა.ჩ.-ს, ზ.დ.-ს და თ.წ.-ს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ და მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და 194-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ და მესამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით წარედგინათ, რაც სასჯელის სახედ და ზომად 9-დან 12 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პროკურატურამ ბრალდებულებისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების მოთხოვნით, სასამართლოს უკვე მიმართა.

# წითელ ხიდზე სიგარეტის უკანონოდ ტრანსპორტირების ფაქტი აღიკვეთა

წითელ ხიდზე განსაკუთრებით დიდი ოდენობით სიგარეტისა და სხვა ტვირთის საქართველოდან უკანონოდ ტრანსპორტირების ფაქტი აღიკვეთა.

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ინფორმაცით, საბაჟო გამშვებ პუნქტში „წითელი ხიდი“ სატვირთო ავტომობილით, არადეკლარირებული, განსაკუთრებით დიდი ოდენობით საქონლის – 170.980 ღერი სხვადასხვა სახეობის სიგარეტისა და პიროტექნიკური ნაწარმის (294.880 ცალი) საბაჟო წესის დარღვევით საქართველოდან გატანის ფაქტი გამოვლინდა.

„აქვე გაცნობებთ, რომ მებაჟე ოფიცრების მიერ, წითელი ხიდის კონტროლის ზონაში, შემოსული ზემოაღნიშნული ავტოსატრანსპორტო საშუალების, ეჭვის საფუძველზე, დეტალური დათვალიერების შედეგად აღმოჩენილმა არადეკლარირებული საქონლის საერთო საბაჟო ღირებულებამ 72.739.60 ლარი შეადგინა.

საქმის მასალები შემდგომი რეაგირების მიზნით ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს გადაეცა“ – აღნიშნავენ უწყებაში.

**საერთაშორისო**

## საფრანგეთის პარლამენტმა ექიმების სავალდებულო ვაქცინაციას მხარი დაუჭირა



საფრანგეთის პარლამენტის ზედა პალატამ პანდემიასთან ბრძოლის მიზნით რეგულაციების გამკაცრების შესახებ ქვეყნის მთავრობის მიერ ინიცირებულ კანონპროექტს მხარი დაუჭირა.

კანონპროექტს მხარი 199-მა სენატორმა დაუჭირა, 123 კი წინააღმდეგ წავიდა.

ახალი რეგულაციების მიხედვით, სამედიცინო პერსონალისთვის ვაქცინაცია სავალდებულო გახდა, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ანაზღაურებას ვერ მიიღებენ.

ამას გარდა, რესტორანში, კინოთეატრებში, თეატრებსა და მუზეუმებში შესვლისათვის ადგილობრივებს ვაქცინაციის დამადასტურებელი ე.წ. „სანიტარული საშვის“ წარდგენა ან ტესტის უარყოფითი პასუხი დასჭირდებათ.

„სანიტარულ საშვებს“ ის პირები მიიღებენ, ვინც ვაქცინის ორივე დოზით აიცრა.

ახალი რეგულაციების დაწესება ათასობით ადამიანმა გააპროტესტა.

მასშტაბური აქციები პარიზში, მარსელში, მონპელიეში, ნანტსა და ტულუზაში გაიმართა, სადაც, საერთო ჯამში, 160.000-ზე მეტი ადამიანი შეიკრიბა.

– შეწყვიტეთ დიქტატორობა! – აცხადებდნენ დემონსტრანტები.

პარიზში პოლიციასა და აქტივისტებს შორის შეტაკება მოხდა, რის გამოც სამართალდამცავებმა აქცია წყლის ჭავლის გამოყენებით დაშალეს.

## უკრაინის საგარეო დაზვერვას ახალი შეფი ჰყავს



უკრაინის საგარეო დაზვერვას ახალი შეფი ჰყავს. პრეზიდენტმა ზელენსკიმ ამ პოსტზე ალექსანდრე ლიტვინენკო დანიშნა, რომელმაც გენერალი კონდრატიუკი შეცვალა.

ლიტვინენკო 1972 წელს დაიბადა. დაამთავრა ბრიტანეთის თავდაცვითი მეცნიერებების აკადემია, ასევე კიევში შევჩენკოს სახელობის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. წლების მანძილზე მუშაობდა უკრაინის უშიშროების საბჭოში.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

## სტავროპოლში სისხლის სამართლის სამძებროს უფროსის მოადგილე მოკლეს



სტავროპოლში იქაური სისხლის სამართლის სამძებროს უფროსის მოადგილე რომან აბოვიანი მოკლეს. ეს მაშინ მოხდა, როცა ის ბენზინგასამართ სადგურზე მივიდა, რათა მანქანაში ბენზინი ჩაესხა.

აბოვიანის მკვლელი დაკავებულია. მისი გვარი ჯერჯერობით არ სახელდება.

მომხდარის გამო აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. მიმდინარეობს გამოძიება.

## გერმანიაში აუცრელი მოქალაქეებისთვის შეზღუდვები დაწესდება



თუ გერმანიაში დაინფიცირების შემთხვევები ზრდას განაგრძობს, ქვეყანაში აუცრელი მოქალაქეებისთვის შეზღუდვები დაწესდება.

ამის შესახებ გერმანიის კანცლერის, ანგელა მერკელის შტაბის უფროსმა ჰელგე ბრაუნმა განაცხადა.

მისი თქმით, ვაქცინაციის ტემპიდან გამომდინარე, გერმანიაში ეპიდაფეთქება ნაკლებად სავარაუდოა, თუმცა, თუ ინფიცირებულთა რიცხვი გაიზარდა, აუცრელი მოქალაქეებისთვის რესტორნებში, კინოთეატრებში, თეატრებსა და სპორტულ მოედნებზე შესასვლელად შეზღუდვების დაწესება გარდაუვალი გახდება.

ბრაუნის აზრით, სახელმწიფოს შეზღუდვების დაწესების სრული უფლება აქვს, რადგან ქვეყნის უპირველესი პასუხისმგებლობა თავისი მოქალაქეების ჯანმრთელობაზე ზრუნვაა.

ამ დროისთვის გერმანიაში მოსახლეობის 49%-მა ვაქცინის ორივე დოზა მიიღო, ერთი დოზით კი, მინიმუმ, 60% აიცრა.

## ხანძარი ესპანეთში



ხანძარია ესპანეთში. უელვას რეგიონში 400 ჰექტარი დაიწვა.

სტიქიას ასობით მეხანძრე ებრძვის. შემთხვევის ადგილზე გადაკეტილია გზები.

მუნიციპალიტეტის მერის განცხადებით, ძლიერმა ხანძარმა შესაძლოა უელვას ეკოლოგიაზე გავლენა იქონიოს.

ჯერჯერობით უცნობია, თუ რა გახდა ხანძრის მიზეზი.

მიმდინარეობს გამოძიება.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

**სპორტი**

## საარბიტრაჟო სასამართლომ კალაშნიკოვა-გორგოძის სარჩელი არ დააკმაყოფილა

ქართველ ჩოგბურთელს, ოქსანა კალაშნიკოვას რომ რეიტინგით ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის უფლება ჰქონდა, მაგრამ იაპონიის დედაქალაქში ვერ გაემგზავრა, ამას უკვე ვწერდით. როგორც ირკვევა, მიზეზი ის არის, რომ ქართულ მხარეს განაცხადი არ გაუგზავნია.

ქართველი ჩოგბურთელის განცხადებებს მაშინვე გამოეხმაურნენ საქართველოს ჩოგბურთის ფედერაცია და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი.

ორივე მათგანი ხელს ერთმანეთისკენ იშვერდა. საბოლოოდ, კალაშნიკოვამ და მისმა მეწყვილე ეკო გორგოძემ საარბიტრაჟო სასამართლოს მიმართეს, რომელმაც უკვე განიხილა ქართველი ჩოგბურთელების საქმე.

როგორც ირკვევა, საბოლოო დასკვნაში სწორედ ის გაითვალისწინეს, რომ ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციაში (იტფ) ქართველ ჩოგბურთელზე განაცხადი არ იყო გაგზავნილი.

აი, რა წერია საარბიტრაჟო სასამართლოს დასკვნაში:

– განმცხადებლები არ იყვნენ შეყვანილნი ტოკიოს ოლიმპიური თამაშების ლიცენზიანტებში, რომელიც 2021 წლის 16 ივლისს გამოქვეყნდა. 2021 წლის 17 ივლისს იტფ-მ განაცხადა, რომ არც საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციიდან და არც საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტიდან (სეოკ) ამ ჩოგბურთელებზე განაცხადი არ იყო გაგზავნილი. თუმცა, სეოკ-ი აცხადებდა, რომ განაცხადი გაგზავნილი იყო. 2021 წლის 21 ივლისს კალაშნიკოვა-გორგოძემ შეიტანეს განცხადება, რომ მათ ოლიმპიურ თამაშებზე წყვილთა შორის მონაწილეობა ეკუთვნოდათ და გადახედილი იქნას მონაწილეთა სია, რომელიც 2021 წლის 16 ივლისს იტფ-მ გამოაქვეყნა, შევიდეს ცვლილება და მიეცეთ ოლიმპიადაზე მონაწილეობის უფლება.

შეიქმნა კომისია, რომელშიც შევიდნენ პროფესორები – იტალიელი ლუიჯი ფუმაგალი, ჩინელი სუნ ლუ და ჩილელი პაბლო არიაგადა, რომლებმაც მოისმინეს კალაშნიკოვა-გორგოძის განაცხადი. ვიდეოკონფერენციაში არ იყო ჩართული სეოკი და არ წარმოუდგენია არანაირი წერილობითი განცხადება. საბოლოოდ, კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც საარბიტრაჟო სასამართლომ 2021 წლის 23 ივლისს გამოაქვეყნა.

სეოკს კალაშნიკოვა-გორგოძე არ ჰყავდა ნომინირებული ტოკიოს ოლიმპიური თამაშების ლიცენზიანტთა შორის. რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს განმცხადებლებისთვის მიღებული დასკვნა, იტფ-მ სწორი გადაწყვეტილება მიიღო, რომ 2021 წლის 16 ივლისს გამოქვეყნებულ ლიცენზიანტთა შორის განმცხადებლები არ შეიყვანა.

## 20 წლამდე თბილისური ევროჩელენჯი საფრანგეთმა მოიგო



თბილისური ევროჩელენჯის დასრულებამდე ერთი ტურით ადრე გამარჯვებული გუნდის ვინაობა გაირკვა. საფრანგეთის ნაკრებმა, რომელმაც აქამდე ყველა მატჩი მოიგო, მე-4 ტურში პოლონეთსაც სძლია და ევროჩელენჯზე პირველი ადგილი გაინაღდა. ფრანგები ბოლო ტურში თურქეთს ხვდებიან და რომც წააგონ, თბილისში მიმდინარე ევროპის ტოპ-გუნდების ევროჩელენჯის გამარჯვებულები გახდებიან.

საფრანგეთს დიდი წინააღმდეგობა გაუწია პოლონეთმა, რომელიც ბოლო პერიოდამდე ტოლ-სწორად ეთამაშებოდა რანგითა და კლასით მაღლა მდგომ მეტოქეს, თუმცა საბოლოოდ ყველაფერი ლოგიკას დაემორჩილა. საფრანგეთმა მეოთხე ათწუთეული 27:13 მოუგო პოლონეთს და საბოლოოდ გამარჯვებაც მოიპოვა – 86:70.

ამ შეხვედრამდე გაიმართა თურქეთისა და გერმანიის დაპირისპირება. გერმანელებმა დამაჯერებლად, ყველანაირი პრობლემის გარეშე სძლიეს თურქებს – 98:62 და მე-2 ადგილზე გამაგრდნენ. ბოლო ტურში გერმანია და ბულგარეთი ხვდებიან და გამარჯვებული ტურნირზე მეორე ადგილს დაიკავებს.

ტურის ბოლო მატჩში ტრადიციულად საქართველომ ითამაშა. ჩვენი გუნდი 2 კალათბურთელის გარეშე თამაშობდა. მილოშ გლიგორიევიჩის გუნდს ვერ დაეხმარნენ ზურა ვაშაკიძე და ავთანდილ ბახტაძე. შეხვედრა გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. მეორე პერიოდში საქართველოს ნაკრები 10 ქულითაც იგებდა, მაგრამ ბულგარეთმა ტანმაღალი მოთამაშეების ხარჯზე მოახერხა ჯერ თამაშის გათანაბრება და შემდეგ, დაწინაურება.

საქართველო, რომელიც ფარქვეშ ხეირს ვერ ნახულობდა, შორი სროლების იმედად იყო. როცა სროლები წაუვიდათ, ჩვენი გუნდი იგებდა და დამაჯერებლადაც, მაგრამ სულ სამქულიანებს ვერ ჩააგდებ და მე-2 ნახევარში, როცა ჩვენებს მიზანი გაუმრუდდათ, ბულგარელებმა ლიდერობა მოიპოვეს და თამაშის ბოლომდე შეინარჩუნეს – 84:72.

საქართველოს ნაკრებში 19 ქულით საუკეთესო იყო ნიკოლოზ გაფრინდაშვილი, რომელმაც წინა მატჩი ტრავმის გამო გამოტოვა. 17 ქულითა და 12 მოხსნით გამოირჩა ანზორ ნადირაძე, ხოლო ირაკლი სულხანიშვილმა 11 ქულა მოინაგრა.

თბილისში მიმდინარე ევროჩელენჯის ბოლო ტურში საქართველო პოლონეთს შეხვდება და ამ მატჩის შემდეგ გაიმართება გამარჯვებული საფრანგეთის და ტურნირის საუკეთესო მოთამაშის დაჯილდოება.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

**კალეიდოსკოპი**

## ნაქეიფარმა ტურისტებმა დილით მანქანაში დათვი აღმოაჩინეს



ამერიკის ტენესის შტატის ქალაქ გატლინგურგის მახლობლად ტურისტებმა საკუთარ მანქანაში ახალგაზრდა დათვი აღმოაჩინეს და მისი გაგდება მოახერხეს.

ტურისტების ჯგუფმა ეროვნული პარკის გრეიტ-სმოკი-მაუნტინგის საზღვარზე, მთის წვერზე, ტყეში, ქოხი დაიქირავეს. ახალგაზრდები გვიან ღამემდე სვამდნენ და ერთობოდნენ, ხოლო დაახლოებით დილის ოთხი საათისთვის თავიანთ ოთახებში მიმოიფანტნენ.

ერთ-ერთი ტურისტის თქმით, მეორე სართულზე მყოფს, მანქანის სიგნალის ხმა შემოესმა და მაშინვე ქვევით დაეშვა. მან მხოლოდ მაშინ გააცნობიერა, რომ ბუნებაში იმყოფებოდა და გარშემო სხვა არავინ უნდა ყოფილიყო.

– როდესაც სახლიდან გამოვედით, დავინახეთ, რომ მანქანა უცნაურად ირწეოდა, – განაცხადა ახალგაზრდამ, სახელად ჯოზეფ დილმა.

აღმოჩნდა, რომ მანქანაში დათვი შემძვრალიყო, კარი ჩაიკეტა და ახალგაზრდა ცხოველმა გამოსვლა ვეღარ მოახერხა. თავისი „პატიმრობის“ დროში კი მან ავტომობილის სალონის სრულად განადგურება მოასწრო. დილმა აღიარა, რომ მანქანა ღამით არ დაკეტა, ვინაიდან ფიქრობდა, რომ მასში არავინ შეძვრებოდა.

საბოლოოდ დილმა და მისმა ახლობლებმა დათვს მანქანის კარი გაუღეს და ღრიალი მორთეს. დაუპატიჟებელმა სტუმარმა თავი ტყეს შეაფარა.

## მაიმუნი ღვინის მაღაზიაში შეიპარა და გამოთვრა




ინდოეთის მადხია-პრადეშის შტატში მაკაკამ ალკოჰოლური სასმელების მაღაზიაში შეაღწია და ლიქიორით გამოთვრა.

დაწესებულების მფლობელის თვალწინ მაიმუნმა ბოთლი „კალუა“ მიიტაცა, თავსახური მოხსნა და პირდაპირ ბოთლის ყელიდან შეუდგა სმას. ის ყურადღებას არ აქცევდა მაღაზიის თანამშრომლებს, რომლებიც მას სხვადასხვა სასუსნავს სთავაზობდნენ, ხოლო როდესაც პატრონმა ბოთლის წართმევა მოინდომა, უკბინა.

ადგილობრივები ამტკიცებენ, რომ ამ მაკაკას კარგად იცნობენ. მათი თქმით, ის სპირტიან სასმელებს მას შემდეგ მიეჩვია, რაც ქუჩაში ბოლომდე დაუცლელი ალკოჰოლური სასმელის ბოთლი იპოვა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

**საზოგადოება**

## სამხელა ღვთისმშობლის ხატი საქართველოში დაბრუნდა

დასაწყისი მე-8 გვერდზე

დრო რითი გაგვეყვანა. გადავწყვიტეთ, ქალაქისთვის წრე დაგვერტყა ფეხით, რა დროსაც მივადექით ქალაქის გალავანს. ირაკლის ვეუბნები და ვუთითებ ერთი ძველი სახლის სარდაფზე, აი, იქ უნდა მივიდეთ, რაღაც უჩვეულოდ სასიამოვნო სუნი მომდის და მაინტერესებს, შიგნით რა ხდება-თქო.

მივედით. რკინის დიდი კარი გისოსებით იყო ჩაკეტილი. მთელი დღე იქ ვისხედით, რა დროსაც იქვე მცხოვრებელი ბიჭები მოვიდნენ, ვკითხეთ, ხომ არ იცოდნენ, რა იყო ამ სარდაფში და ვის შეეძლო გაღება. დიდი ხანი გვიყურეს და ბოლოს გვითხრეს, რომ ეს ძველი, მიტოვებული ანტიკვარიატის მაღაზია იყო და პატრონს დაურეკეს. მოვიდა მოხუცი კაცი, დაბნეულმა გვკითხა, თუ რას ვეძებდით და თან კარს ხსნიდა. წარმოიდგინეთ პატარა უძველესი ოთახი, არანორმალური ნესტი, ძირს ეყარა ბევრი ნაგავი და ძველი ნივთები დალეწილი.

უეცრად ვხედავთ ულამაზეს მართლმადიდებლურ ღვთისმშობლის ხატს! როდესაც ახლოდან დავაკვირდი, აღმოჩნდა ძალიან ძველი მე-17 საუკუნის სამხელა ღვთისმშობლის ხატი. ამ ხატს დიდი ისტორია აქვს, მან იოანე დამასკელს მოჭრილი ხელი გაუმრთელა, რის შემდეგაც იწოდება სამხელად.

მოკლედ, მოვრიგდით ამ მოხუც კაცთან და ეს ხატიც წამოვაბრძანეთ. მთელი დანარჩენი პერიოდი ზღვაში ჩვენთან ერთად იყო. 13 ივლისს დავბრუნდით საქართველოში. დღეს ეს ხატი არის სამთავროს დედათა მონასტერში, ჩვენი სურვილით გადავეცით იღუმენია ქეთევანს. ასე რომ, ეს XVII საუკუნის ხატი დაბრძანდება სამთავროში.

როგორც გაირკვა, ეს ხატი დიდი ხნის წინ ერთ ბერძენ ქალს მიუტანია იმ ანტიკვარიატის მაღაზიაში მაშინ, როცა ეს მაღაზია მოქმედი იყო, როგორც ამ მოხუცმა კაცმა გვითხრა, აუქციონზე ყოფილა ნაყიდი 90-იან წლებში. მას მერე ბევრი წელი გავიდა, ეს მაღაზიაც დაიკეტა და არც ის ქალი აღარ გამოჩნდა.

მიხარია, რომ დღეს ეს ხატი საქართველოშია!

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

**კალეიდოსკოპი**

## მამაკაცმა ალიგატორს სცემა და მისი შენობის სახურავზე შეგდება ცადა



ამერიკის ფლორიდის შტატის ქალაქ დეიტონ-ბიჩ-შორსში დააკავეს მამაკაცი, რომელმაც ალიგატორს სცემა, შემდეგ კი მისი შენობის სახურავზე შეგდება ცადა.

პოლიციის თანამშრომლებმა 32 წლის უილიამ ჰოჯა დილით ადრე იმ დროს შენიშნეს, როდესაც ის ცოცხალი ალიგატორის კოქტეილბარის სახურავზე შეგდებას ცდილობდა. გარდა ამისა, მამაკაცმა რეპტილიას კუდში ჩაავლო ხელი და შენობის კედელს მიანარცხა, შემდეგ მიწაზე დააგდო და ორჯერ დაახტა.

როგორც თავად ჰოჯამ პოლიციელებს განუცხადა, მან ალიგატორი მოიპარა ვოლიერიდან, რომელიც უახლოესი მინი-გოლფის ტერიტორიაზე მდებარეობდა. მან საკუთარ ქმედება იმით ახსნა, რომ სურდა, ცხოველისთვის ჭკუა ესწავლებინა. მამაკაცს ძარცვისა და ცხოველის მიმართ სასტიკად მოპყრობის ბრალდება წარედგინა.

## დედამ შვილი ავტომობილით მოტაცებას გადაარჩინა



ქალაქ ნიუ იორკის კვინსის რაიონის მკვიდრმა ქალმა შვილი გატაცებას გადაარჩინა. ამისთვის მან ის ავტომობილის ფანჯრიდან გადმოიყვანა.

შემთხვევის ადგილზე გადაღებულ კადრებში, რომელიც ნიუ იორკის პოლიციამ ტვიტერში გამოაქვეყნა, ჩანს, როგორ მიდის დედა-შვილი ტროტუარზე გზის სავალი ნაწილის გასწვრივ. უცბად გზის პირას გაჩერებული მანქანიდან გადმოხტება მამაკაცი, ბავშვს ხელს სტაცებს და ავტომობილის უკანა სავარძელზე მიათრევს. ბიჭის გადარჩენა დედის სწრაფი რეაქციის წყალობით მოხერხდა. სანამ დამნაშავე მძღოლის კარს აღებდა და საჭესთან ჯდებოდა, ქალმა ძალის გამოყენებით მოახერხა ბოროტმოქმედისთვის ბავშვი ხელიდან გამოგლეჯა და მანქანის ფანჯრიდან გადმოთრევა.

მიუხედავად იმისა, რომ გამვლელები ბოროტმოქმედების შეჩერებას შეეცადნენ, მათ მაინც მოახერხეს შემთხვევის ადგილიდან გაქცევა. სამართალდამცავებმა დამნაშავეების გადაადგილებისთვის თვალის დევნება სათვალთვალო კამერების დახმარებით შეძლეს. ერთ-ერთი მათგანის სახის მსხვილი ხედით დაფიქსირება მოხერხდა და ამჟამად მათზე სამძებრო სამუშაოები მიმდინარეობს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ნანა ძაგნიძე მსოფლიო თასის მეოთხედფინალშია



სოჭში მიმდინარე საჭადრაკო მსოფლიო თასზე ტურნირს ერთი ქართველი მონაწილე შემორჩა – ნანა ძაგნიძე.

საქართველოს ნაკრების ლიდერმა მერვედფინალში დაძაბულ ბრძოლაში რუსი პოლინა შუვალოვა 3.5:2.5 დაამარცხა და მეოთხედფინალში გავიდა, სადაც უკრაინელ ანა მუზიჩუკს შეხვდება.

შუვალოვასთან ჭიდილში მოჭადრაკეებმა კლასიკური პარტიები გაცვალეს. ასევე მოგებები გაიყვეს 25-წუთიან პარტიებში, ხოლო ბლიცში, 5-წუთიან პარტიებში უკვე ძაგნიძემ იმარჯვა.

ტურნირს მერვედფინალში გამოეთიშა ნინო ბაციაშვილი, რომელმაც შავი ფიგურებით ყაიმი გააფორმა ვალენტინა გუნინასთან, მაგრამ თეთრებით წააგო და მეოთხედფინალში რუსი მოჭადრაკე გაუშვა.

ქალთა მსოფლიოს თასის საპრიზო ფონდი 676.250 დოლარია და ჩემპიონი 50.000-ს მიიღებს, მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულისთვის პრეტენდენტთა ტურნირის საგზურს კი 3 საუკეთესო მონაწილე მიიღებს.

# მარგველაშვილმა ვერცხლის მედალი მოიპოვა

## სანდრო ბაზაძე მისი ბრძოლის გაპროტესტებას აპირებს



ტოკიოს 32-ე ოლიმპიური თამაშებზე 2 საშეჯიბრო დღე მიილია და საქართველოს ოლიმპიურ გუნდს ყულაბაში 1 ვერცხლის მედალი აქვს.

საქართველოს პირველი მედალი ძიუდოისტმა ვაჟა მარგველაშვილმა მოუტანა. ჩვენებური ფინალში მასპინძელ ძიუდოისტს, ჰიფუმი აბეს დაეჭიდა და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონთან ვაზარით დამარცხდა.

66 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში მოჭიდავე მარგველაშვილმა ფინალამდე 3 მეტოქე დაამარცხა – რუს იაკუბ შამილოვს ვაზარით სძლია, ისრაელის წარმომადგენელ ბარუჩ შმაილოვს იპონით მოუგო, ხოლო ნახევარფინალში სამხრეთკორეელ ან ბაულს დამატებით დროში, მძიმე ბრძოლაში ვაზარით აჯობა.

ახლა სხვა სპორტსმენებზეც ვთქვათ: ოლიმპიურ სარბიელზე კარგი სტარტი გამოუვიდა ნიკოლოზ ბასილაშვილს. საქართველოს პირველი და მსოფლიოს 42-ე ჩოგანი, ოლიმპიურ კორტებზე მსოფლიო რეიტინგში 90-ე საფეხურზე მყოფ ესპანელ კარბალეს ბაენას შეხვდა და 2 სეტში – 6:3, 6:2 დაამარცხა.

დღეს, მე-2 წრეში ბასილაშვილი იტალიელ ლორენცო სონეგოს შეხვდება, რომელმაც თავის მხრივ იაპონელი ტარო დანიელი დაამარცხა. ქართველის და იტალიელის გზები პირველად შარშან რომში გადაიკვეთა და ის შეხვედრა მასპინძლის გამარჯვებით დასრულდა.

მომდევნო წრეში ასპარეზობის უფლება მოიპოვა მოკრივე ესკერხან მადიევმაც (69 კგ). საქართველოს წარმომადგენელი აზერბაიჯანის სახელით მოასპარეზე კუბელ ლორენცო სოტომაიორს შეხვდა და საკმაოდ დამაჯერებლად მოუგო. მადიევს მომდევნო ორთაბრძოლა 27 ივლისს, უგანდელ შადირი ბვოგისთან უწევს.

დასანანი იყო ძიუდოში და ფარიკაობაში განცდილი მარცხი.

ოლიმპიურ ტატამზე მეშვიდე ნომრად განთესილი ლუხუმ ჩხვიმიანი (60 კგ) – მსოფლიოს და ევროპული თამაშების ჩემპიონი, ასპარეზში მე-2 წრიდან ჩაება და აზერბაიჯანელ კარამატ ჰუსეინოვს იპონით მოუგო, მაგრამ მეოთხედფინალში მასპინძელ ნაოჰისა ტაკატოსთან დამატებით დროში 3 გაფრთხილებით დამარცხდა. ჩხვიმიანს ბრინჯაოს მედლისთვის ბრძოლის შანსი ნახევარფინალში კორეელ ინ ვონ კიმთან მიეცა, მაგრამ ოქროს დროში გადასულ ორთაბრძოლაში გამარჯვება კორეელს დარჩა.

მედალთან ყველაზე ახლოს იყო ხმლით ფარიკაობაში საქართველოს ნაკრების ლიდერი, ტოკიოში მე-8 ნომრად განთესილი სანდრო ბაზაძე. ევროპის ჩემპიონატების 3 ბრინჯაოს მედლის მფლობელმა საწყის 2 შეხვედრაში ეგვიპტელები – მოჰაბ სამერი (15:10) და ზიად ელსისი (15:12) დაამარცხა. შემდეგ იყო რეიტინგის პირველი ნომერთან, კორეელ სანგუკ ოსთან 15:13 გამარჯვება.

ბაზაძე ნახევარფინალში თამაშების კიდევ ერთ ფავორიტს, ლონდონის და რიოს თამაშების ჩემპიონს და ტოკიოს თამაშების მომავალ ჩემპიონს, უნგრელ არონ შილაგის შეხვდა და დაძაბულ ბრძოლაში 13:15 დამარცხდა.

ქართველმა მოფარიკავემ ბრინჯაოს მედლისთვის ბრძოლა კორეელ იუნვან კიმთან გააგრძელა. პირველი პერიოდი მოიგო კიდეც (8:7), მაგრამ მეორეში მეტოქემ აჯობა. საბოლოოდ, კორეელმა 15:11 გაიმარჯვა და მე-3 ადგილი დაიკავა.

აღსანიშნავია, რომ შილაგისთან ნახევარფინალური შეხვედრა სკანდალური გამოდგა. ძალიან ბევრმა სპეციალისტმა აღნიშნა, რომ ეგვიპტელმა მსაჯმა ბაზაძე დაჩაგრა და რამდენიმე ძალზე საეჭვო ეპიზოდში გადაწყვეტილება უნგრელის სასარგებლოდ მიიღო. არაფერი იყო საეჭვო მაშინ, როცა ანგარიში 13:13 გახლდათ, მაგრამ ყველასთვის მოულოდნელად სანდროს მოპოვებული ქულა შილაგის მიანიჭეს, რამაც ქართველი სპორტსმენი გატეხა.

ბაზაძე არაკომპეტენტური მსაჯობის გასაჩივრებას აპირებს.

**სანდრო ბაზაძე:**

– შეჯიბრი ჩემთვის, სამწუხაროდ, დასრულდა. არადა, ოლიმპიადისთვის მაქსიმალურად მომზადებული გახლდით. ჩემი აზრით, მზად ვიყავი ოქროს მედლის მოსაპოვებლადაც. სამწუხაროდ, არაკომპეტენტური მსაჯობისა და დაუფასებლობის გამო, მედალი ვერ მოვიპოვე, ნახევარფინალი წავაგე. თუმცა, თავს დამარცხებულად არ მივიჩნევ, რადგან ეს არ იყო სწორი გადაწყვეტილება, ყველაფერს გავაკეთებ, რომ გავასაჩივრო, ამ არაკომპეტენტურ მსაჯებს პასუხი გავცე. სამწუხარო იყო ნამდვილად, რადგან, როცა შენს თავში დარწმუნებული ხარ და გრძნობ, რომ შეგიძლია ოქროს მედალი მოიპოვო, ეს ყველაფერი ცოტა რთული გადასატანია. ყურებს არ ჩამოვყრი, გავაგრძელებ მიზნისთვის ბრძოლას და ყველაფერს გავაკეთებ, რომ მომდევნო ოლიმპიურ თამაშებზე მაქსიმუმს მივაღწიო. წარმატებები მინდა ვუსურვო ჩვენს სპორტსმენებს, იმიტომ, რომ საამაყო ქართველები არიან, ყველაფერს აკეთებენ, რომ საქართველოს სახელი საზღვარგარეთ გაიტანონ და დიდი სურვილი მაქვს, რომ ძალიან ბევრი მედლით დავბრუნდეთ ქვეყანაში.

400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში საკვალიფიკაციო ბარიერი ვერ დაძლია და 3:57.49 შედეგით ასპარეზობა დაასრულა ირაკლი რევიშვილმა.

ტოკიოს ოლიმპიადაზე უკვე ქართველი ძალოსნებიც გამოჩნდნენ. თუმცა, უმედლოდ დარჩნენ.

61 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში, შოთა მიშველიძემ ატაცში 130 კილოგრამი დააფიქსირა, მაგრამ ვერც 134 და ვერც 135 კილოგრამიან შტანგებს ვეღარ მოერია. შედეგად, ატაცის შემდეგ მიშველიძე 130 კილოგრამით მე-5 ადგილზე იყო, მაგრამ მედლისთვის ბრძოლა კიდევ შეეძლო.

სამწუხაროდ, ქართველმა ძალოსანმა აკვრაში მხოლოდ 155 კილოგრამი დააფიქსირა. მიშველიძემ 163-კილოგრამიანი შტანგა ვერ აკრა. მედლისთვის საჭირო იყო 165 კილოგრამის დაფიქსირება, მაგრამ მიშველიძე ვერც ამ წონას მოერია და საბოლოოდ, მე-7 ადგილზე გავიდა.

გოგა ჩხეიძემ 67 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში იასპარეზა და ბ ჯგუფის გამარჯვებული გახდა. გოგამ ატაცში მხოლოდ ერთი ცდა გამოიყენა – 133 კილოგრამი დააფიქსირა.

აკვრაში კი, ჩხეიძემ 2 ცდა გამოიყენა – 164 და 169 კილოგრამები დაძლია, მაგრამ 173 კილოგრამი ვეღარ აკრა.

მართალია, ქართველმა ძალოსანმა ბ ჯგუფი მოიგო, მაგრამ ეს მედლისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა.

სპორტულ არენაზე ტყვიის მსროლელი ნინო სალუქვაძე გავიდა. ლეგენდარული ქართველი სპორტსმენი, რომელიც ქალებისთვის სარეკორდო, მე-9 ოლიმპიადაზე იმყოფება, ფინალურ ეტაპზე ვერ მოხვდა.

სალუქვაძემ საკვალიფიკაციო ეტაპზე 567 (93+92+99+95+95+93) ქულა დააგროვა, რაც საკმარისი არ გამოდგა 8 სპორტსმენს შორის მოსახვედრად, რომლებიც ბრძოლას მედლებისთვის გააგრძელებენ.

# შედეგები

## 25 ივლისი

**ოლიმპიადა**

**ფეხბურთი – კაცები**

| | |
|---|---|
| ეგვიპტე-არგენტინა | 0:1 |
| ახ.ზელანდია-ჰონდურასი | 2:3 |
| საფრანგეთი-ს.აფრიკა | 4:3 |
| ბრაზილია-კოტ დივუარი | 0:0 |

**ჩოგბურთი – კაცები**

| | |
|---|---|
| ნიშიოკა-ხაჩანოვი | 6:3,1:6,2:6 |
| კლეინი-დაკვორტი | 7:5,3:6,6:7 |
| ჩერუნდულო-ფროუდი | 5:7,7:6,2:6 |
| ზვერევი-ლუ | 6:1,6:3 |
| გალანი-საფვატი | 7:5,6:1 |
| კუკუშკინი-კორია | 7:6,7:5 |
| სევილი-ჰურკაჩი | 2:6,4:6 |
| მონფილსი-ივაშკა | 4:6,6:4,5:7 |
| პერსელი-ოჟე ალიასიმი | 6:4,7:6 |
| კეპფერი-ბანგისი | 3:6,6:3,7:5 |
| შვარცმანი-ვარილიასი | 7:5,6:4 |
| გომბოსი-ჰირონი | 6:7,6:3,2:6 |
| კოლშრაიბერი-ციციპასი | 3:6,6:3,3:6 |
| ნიშიკორი-რუბლიოვი | 6:3,6:4 |
| კვონი-ტიაფო | 3:6,2:6 |

**ქალები**

| | |
|---|---|
| სობოლენკო-ლინეტი | 6:2,6:1 |
| როიგი-ვანი | 4:6,3:6 |
| ალექსანდროვა-მერტენსი | 4:6,6:4,6:4 |
| ჯორჯი-ბრედი | 6:3,6:2 |
| პლიშკოვა-კორნე | 6:1,6:3 |
| ფერო-სევასტოვა | 2:6,6:4,6:2 |
| ბარტი-ტორმო | 4:6,3:6 |
| სუარეს ნავარო-ჯაბირი | 6:4,6:1 |
| ჩჟენი-ოსაკა | 1:6,4:6 |
| ოსტაპენკო-ვესნინა | 4:6,7:6,4:6 |
| კუდერმეტოვა-მუგურუზა | 5:7,5:7 |
| იოროვიჩი-ვან უიტვანკი | 3:6,2:6 |
| ზიგემუნდი-სვიტოლინა | 3:6,7:5,4:6 |
| გარსია-ვეკიჩი | 2:6,7:6,3:6 |
| შვედოვა-ტომლიანოვიჩი | 5:7,2:3 |
| კვიტოვა-პაოლინი | 6:4,6:3 |

**კალათბურთი – კაცები**

| | |
|---|---|
| ირანი-ჩეხეთი | 78:84 |
| გერმანია-იტალია | 82:92 |
| ავსტრალია-ნიგერია | 84:67 |

## 24 ივლისი

**ფეხბურთი**

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| ჰანზა-კარლსრუე | 1:3 |
| დარმშტადი-რეგენსბურგი | 0:2 |
| დინამო-ინგოლშტადი | 3:0 |
| ჰაიდენჰაიმი-პადერბორნი | 0:0 |
| ვერდერი-ჰანოვერი | 1:1 |

**საფრანგეთი. ლიგა 2**

| | |
|---|---|
| ბასტია-ნიმი | 1:1 |
| ამიენი-ოსერი | 1:2 |
| ვალანსიენი-ნიორი | 0:0 |
| ლე ავრი-გენგამი | 0:0 |
| გრენობლი-პარიზი | 0:4 |
| დიუნკერკი-კევიი | 1:1 |
| კაენი-როდეზი | 4:0 |
| პო-ნანსი | 2:1 |
| ტულუზა-აიაჩო | 2:2 |

**რუსეთი. პრემიერლიგა**

| | |
|---|---|
| ხიმკი-ზენიტი | 1:3 |
| ლოკომოტივი-არსენალი | 3:1 |
| რუბინი-სპარტაკი | 1:0 |

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| ტიროლი-ადმირა | 1:1 |
| ალტახი-ლინცერი | 0:1 |
| რაპიდი-ჰარტბერგი | 0:2 |

**ბელგია. ა დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ლეუვენი-ვარეგემი | 1:1 |
| ბეერსხოტი-სერკლე | 0:1 |
| კორტრაიკი-სერენი | 2:0 |
| ოსტენდე-შარლერუა | 0:3 |

**უკრაინა. პრემიერლიგა**

| | |
|---|---|
| ვერესი-კოლოსი | 0:0 |
| შახტარი-ინგულეცი | 2:1 |

**დანია. სუპერლიგა**

| | |
|---|---|
| ოლბორგი-მიდტიულანდი | 0:1 |

**შვედეთი. ალსვენსკა**

| | |
|---|---|
| მიალბი-მალმიო | 0:2 |
| სირიუსი-დეგერფორსი | 2:0 |

სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.

თოდუების საგვარეულო მეთოდით დამზადებული წამლები საუკუნეს ითვლის.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი. ყველა ნაყენი მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, საგულდაგულოდ შეგროვილი მცენარეებით მზადდება.

ქალბატონი ლამარას მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას; 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებსა და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52.**

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

# კვარაცხელია მილანში მიდის

რუსული მედიის ინფორმაციით, ყაზანის რუბინისა და საქართველოს ნაკრების შემტევი ხვიჩა კვარაცხელია კარიერას მილანში განაგრძობს.

გავრცელებული ცნობით, მხარეებმა ხელშეკრულება უკვე შეათანხმეს და ხვიჩას რეკომენდაცია კახა კალაძემ გაუწია. ერთია, წყარო არცთუ სანდოა, მაგრამ მისი ინფორმაცია იტალიურ გამოცემებშიც გამოჩნდა.

მილანის მხრიდან კვარაცხელიას მიმართ ინტერესზე დიდი ხანია იწერება. ვნახოთ, რამდენად მართალი აღმოჩნდება ეს ინფორმაცია. აქვე გეტყვით, რომ ამ რუსეთის პრემიერლიგის პირველ ტურში რუბინი შინ მოსკოვის სპარტაკს (1:0) დაუხვდა და კვარაცხელიამ ძირითად შემადგენლობაში ითამაშა.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. სუბტროპიკული ხილი; 2. სახელმწიფოს ერთ-ერთი სიმბოლო; 3. ქართველი კარდიოლოგი, აკადემიკოსი; 4. ბრიტანული ტაქსი; 5. ქართული გაზეთი; 6. ოთხსიმიანი ხემიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 9. მეცნიერება მევენახეობის შესახებ; 10. საერთაშორისო კატეგორიის რაგბის ქართველი მსაჯი; 11. მართული აეროსტატი; 14. ქართველთა სახელწოდება მუსლიმურ ქვეყნებში; 16. ნორვეგიელი კომპოზიტორი; 18. სითხის გამოსახდელი მინის ლაბორატორიული ჭურჭელი; 20. რაიმეს დამზადების წესი; 23. აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი ნივთი; 24. მაგიდა სადურგლო სამუშაოებისთვის; 25. ფრანგი შანსონიე ქალი; 26. ქართული ფოლკლორული ანსამბლი.

**თარაზულად:** 7. მაღალი ტემპერატურის გასაზომი ხელსაწყო; 8. ბრიტანეთის ნაწილი; 12. ფრანგი მწერალი; 13. სახელმწიფო ახლო აღმოსავლეთ აზიაში; 15. ჟოკეის წკეპლა; 17. „ფორმულა-1“-ში მონაწილე ფინელი ავტომრბოლელი; 19. ხალხური თქმულებები, ლეგენდები; 21. ჰუნების წინამძღოლი; 22. მოედანი სამხედრო-სამწყობრო ვარჯიშებისთვის; 27. სანახაობითი წარმოდგენა კაბარეში, სადაც ქალი თანდათანობით შიშვლდება; 28. ტიპობრივი ნიმუში, საზომი, ნორმა.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*




## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. რუზინე; 2. სუძუკი; 3. ენოლოგია; 4. ალკალა; 6. სალივანი; 8. სტრიპი; 11. საგურამო; 12. სატურნი; 16. ტაიგა; 17. ბლიცი; 18. სელტა.

**თარაზულად:** 1. რაფსოდი; 5. ულისე; 7. ენისელი; 9. იოგურტი; 10. კასტელი; 13. პუდინგი; 14. ბატონი; 15. ბანი; 19. გუდიარი; 20. კლაკიორი; 21. ქაფიანიძე; 22. ბოჰემა.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. მასკი; 2. კლონი; 3. ბანკეტი; 4. ლეგო; 5. პუმა; 6. სტატიკა; 9. კონდენსაცია; 10. ალარმისტი; 11. ლუსტრაცია; 14. ლაკმე; 16. ბრიხი; 18. იპოთეკა; 20. ფორმატი; 23. ალაო; 24. სეული; 25. ეროტი; 26. ლაპი.

**თარაზულად:** 7. პანკრეასი; 8. მონუმენტი; 12. ფეოლა; 13. დუნია; 15. სიდრი; 17. კომენტარი; 19. აგარა; 21. კონტე; 22. კიური; 27. აკონკაგუა; 28. კომპლექტი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


26 ივლისი

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 3.1000

ევრო — 3.6481

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.2591

100 რუსული რუბლი — 4.2138




## სოლსკიაერმა პოგბას მომავალზე ისაუბრა



ოლე გუნარ სოლსკიაერმა პოლ პოგბაზე ისაუბრა და თქვა, რომ მას სურს, პოგბა გუნდში დარჩეს, რადგან პოგბას შეუძლია მანჩესტერ იუნაიტედს ბევრი წარმატება მოუტანოს. იუნაიტედის მთავარმა მწვრთნელმა ასევე განაცხადა, რომ მას ზუსტი ინფორმაცია არ აქვს, გააფორმებს თუ არა ფრანგი ნახევარმცველი ახალ კონტრაქტს:

– პოგბაზე დიდ იმედებს ვამყარებ და მინდა, რომ ის გუნდში დარჩეს, მაგრამ ყველაფერი ჩემზე არ არის დამოკიდებული. იმედი მაქვს, პოლს ჩემს გუნდში კიდევ დიდხანს ვიხილავ.

## კლოპს ლივერპულში ახალი ნახევარმცველი სურს



ლივერპულის მთავარ მწვრთნელ იურგენ კლოპს ლივერპულში ახალი საყრდენი ნახევარმცველის ყიდვა სურს, რადგან ეს პოზიცია გასულ სეზონში პრობლემატური იყო. ამის მთავარი მიზეზი კი ტრავმები გახლდათ.

ჯერჯერობით კონკრეტული სახელები ცნობილი არ არის, მაგრამ კლოპი ირწმუნება, რომ ლივერპული ტრანსფერებს აუცილებლად გააკეთებს.

## ლევანდოვსკი გერმანიის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს



რობერტ ლევანდოვსკი გერმანიაში სეზონის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს და მან ეს პრიზი ზედიზედ მეორედ მოიგო. ლევანდოვსკი უკვე 32 წლის არის, მაგრამ ის კვლავინდებურად აგრძელებს მაღალ დონეზე თამაშს და ბაიერნი მასთან ახალი კონტრაქტის გაფორმებას აპირებს.

თვითონ ლევანდოვსკის ამ თემაზე ჯერჯერობით კომენტარი არ გაუკეთებია.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## პაპამ და შვილიშვილმა ქუჩაში ნაპოვნი ფული პატრონს დაუბრუნეს



ბრიტანეთის მერსისაიდის საგრაფოს მკვიდრმა მამაკაცმა და მისმა შვილიშვილმა ქუჩაში ფული იპოვეს და პატრონს დაუბრუნეს.

24 წლის ჯორჯინა კენი სავაჭრო ცენტრში საყიდლებზე წავიდა და ბანკომატიდან 300 ფუნტი სტერლინგი მოხსნა, რომლითაც თავისი შეყვარებულის 30 წლის იუბილესთვის სხვადასხვა ნივთების ყიდვას აპირებდა.

კენი მალევე მიხვდა, რომ ფული დაკარგა. დამწუხრებულმა მამას, 53 წლის ენდის დაურეკა და მომხდარის შესახებ მოუყვა. მან ქალიშვილი დაამშვიდა და შეპირდა, რომ დაკარგულის სანაცვლოდ ფულს ასესხებდა. იმის იმედით, რომ ბანკომატიდან მოხსნილი და დაკარგული ფული გამოჩნდებოდა, მამა-შვილმა ფეისბუქში ფულის დაკარგვის თაობაზე ინფორმაცია გამოაქვეყნეს.

მალე მათ დაუკავშირდათ ქალი, რომელმაც უთხრა, რომ მამამისმა და მისმა გოგონამ იპოვნეს 220 ფუნტი, რომელიც სავაჭრო ცენტრის წინ იყო მიმოფანტული. როდესაც ენდი ფულის წამოსაღებად მივიდა, აღმოაჩინა, რომ მპოვნელი მისი ნაცნობი იყო, რომელთან ერთადაც ერთ რაიონში იზრდებოდა.

– ის ორი წლით ჩემზე უფროსია, მაგრამ ჩვენ ერთ რაიონში ვიზრდებოდით. მას პოლი ჰქვია და მის ძმებსაც ვიცნობ, – განაცხადა ენდიმ. მან პოლს ჯილდოს სახით 20 ფუნტი შესთავაზა, მაგრამ მან უარი უთხრა და ბოდიში მოუხადა იმისთვის, რომ მთელი დაკარგული თანხა ვერ იპოვა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## იუმორი

კაფეში ოფიციანტი კლიენტს ეკითხება:

– რას მიირთმევთ ჩაის, ყავას?

– და უფრო მაგარი რა გაქვთ?

– კაკალი, ყინული...

●●●

ერთი ქალი მეორეს ეკითხება:

– როდის თხოვდები?

– ორი მთხოვს ხელს და ვერ გადამიწყვეტია...

– რა ქონების პატრონები არიან?

– ერთი 25 ჰექტარს ფლობს, მეორე 25 სანტიმეტრს...

●●●

მამაკაცი ექიმს ეუბნება:

– ექიმო, იქნებ რაიმე დამამშვიდებელი მირჩიოთ?

– მაგალითად, ნახევარი ლიტრა არაყი.

– და უფრო სერიოზული?

– მაშინ სამი ბოთლი...

●●●

პატარა გოგონას ღამის ორ საათზე ეღვიძება და დედას ეუბნება:

– დედიკო, მომიყევი რა ზღაპარი.

– დაიძინე შვილო, დაიძინე, დილით მოვა მამაშენი და ის მოგვიყვება ზღაპრებს...

●●●

ქალაქის ცენტრში ორმა ნიღბიანმა ქალი უცერემონიოდ ჩატენა მანქანაში და გააქანეს. გზაში ერთ-ერთი ეუბნება:

– მომისმინე საყვარელო, ორი ვარიანტი გაქვს: ჩვენ მივდივართ შენთან სახლში, აღებ სეიფს, ჩვენ ვიღებთ რაც გსურს და მივდივართ, შენ კი სახლში რჩები. ან მეორე ვარიანტი, ქალაქში ვივლით და სასტიკად გიხმართ მანამდე, სანამ მანქანას საწვავი არ გაუთავდება. გასაგებია?

– გასაგებია.

– აბა, რა გადაწყვიტე, სად მივდივართ?

– მანქანაში ბენზინის ჩასასხმელად.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ნანი ბრეგვაძემ 85 წლის იუბილე წინანდალში კონცერტით აღნიშნა



მომღერალმა ნანი ბრეგვაძემ 85 წლის იუბილე წინანდალში გამართული კონცერტით აღნიშნა.

საიუბილეო საღამოზე მომღერალი შეკრებილი მსმენელის წინაშე მაესტრო ნიკოლოზ რაჭველთან ერთად წარდგა და თავისი რეპერტუარიდან საუკეთესო სიმღერები შეასრულა.

დამსწრე საზოგადოებამ იუბილარი მომღერალი მქუხარე აპლოდისმენტებით, ხანგრძლივი ოვაციებითა და ყვავილების ულამაზესი თაიგულებით დააჯილდოვა.

85 წლის იუბილე ნანი ბრეგვაძეს თბილისის მერმაც მიულოცა. კახა კალაძემ ხელოვანს ყვავილების თაიგული მიართვა, ჯანმრთელობა და ყოველივე საუკეთესო უსურვა.

## ირაკლი კახიძე საპატიო ბათუმელია



ოპერის მომღერალი ირაკლი კახიძე საპატიო ბათუმელის ტიტულით დააჯილდოვეს.

მომღერლისთვის, რომელიც მთელ მსოფლიოში საქართველოს პოპულარიზაციას ეწევა, ეს ჯილდო ყველაზე მნიშვნელოვანია:

– ულრმესი მადლობა დაფასებისთვის! საპატიო ბათუმელის წოდება! ეს ჯილდო ჩემთვის ყველა ჯილდოზე უფრო ძვირფასია! ვულოცავ ჩემს ოჯახს და ჩემს ყველა გულშემატკივარს! ჩემს ულამაზეს ბათუმს და სრულიად საქართველოს! – განაცხადა მომღერალმა.

## ნოდიკო ტატიშვილმა ახალი კლიპი გადაიღო



პანდემიის მიუხედავად, მომღერალი ნოდიკო ტატიშვილი არ ჩერდება და თავის ერთგულ მსმენელს სიახლეებით ანებივრებს.

მან გიგა კვენეტაძის სიმღერა „გულს“ ახლებური ვერსიით „ბრავო რექორდსში“ ჩაწერა და მასზე ვიდეოკლიპი რეჟისორ ნესტან სინჯიკაშვილს გადააღებინა.

ლამაზი გოგონების გარემოცვაში გადაღებული ფერადი ვიდეორგოლის პრეზენტაცია მაია ასათიანის „ახალ პროფილში“ შედგა და მსმენელის მოწონებაც დაიმსახურა.

ნოდიკოს ახალ ნამუშევარს უკვე ბევრი მოწონება, გაზიარება და დადებითი კომენტარი აქვს.

## გიორგი უშიკიშვილი: „ჩვენ დავივიწყეთ ჩვენი წარსული“



წარსულის დავიწყება მომღერალ გიორგი უშიკიშვილს ჩვენს ყველაზე დიდ დანაშაულად მიაჩნია:

– ჩვენი ბრალი არის ის, რომ ჩვენ დავივიწყეთ ჩვენი წარსული. იცით, გელათს რატომ ველარ ვუკეთებთ რესტავრაციას და იტალიელები რატომ ჩამოგვყავს? იმიტომ, რომ დავივიწყეთ ჩვენი წარსული. ვანის მუზეუმში რომ ჩახვალ, სასწაულებს ნახავ და იქიდან წამოხვალ ამაყი ადამიანი, ამაყი იმით, თუ როგორი წინაპრები გვყავდა.

არ არსებობს ერი, რომელიც თავისი წარსულის დავიწყებით მომავალს ააშენებს. ჩვენ რომ დღეს ევროპულ ღირებულებებზე ვსაუბრობთ, ჩვენ დაგვავიწყდა, მაგრამ ეს ვაჟა-ფშაველა და შოთა რუსთაველია. ჩვენ რამე ახალს კი არ გვეუბნებიან, ჩვენ გვეუბნებიან, რომ თქვენი ეს საბჭოთა წარსული ამოაგდეთ და დაუბრუნდით ვაჟა-ფშაველას და შოთა რუსთაველს, ამაზეა საუბარი. ადამიანი როგორ უნდა გაანადგურო? მას უნდა დაავიწყო თავისი წარსული.

პაპაჩემი სულ მეუბნებოდა, რომ მთავარი ცხოვრებაში არის ზომიერებაო. მაშინ ეს სიტყვა არაფრად მიმაჩნდა. დღეს ვუყურებ ჩვენს ურთიერთობებს და ჩვენ დავკარგეთ ყველაზე მთავარი – ზომიერება, ჩვენ სიძულვილში დავკარგეთ ზომიერება, ჩვენ ლანძღვაში დავკარგეთ ზომიერება. სრულიად წარმოუდგენელი რაღაცები იწერება სოციალურ ქსელში. როგორ შეიძლება ასე გეზიზღებოდეს ადამიანი?! არავის ვმოძღვრავ, მაგრამ მთელი ცხოვრება ამას გავიძახი – გვახსოვდეს ვინ ვართ ჩვენ, რომ უფრო მაგრები ვიყოთ მომავალში, – განაცხადა მომღერალმა ინგა გრიგოლიასთან სტუმრობის დროს.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## სამხელა ღვთისმშობლის ხატი საქართველოში დაბრუნდა



საქართველოში სრულიად უნიკალური, XVII საუკუნის სამხელა ღვთისმშობლის ხატი გიორგი ჩიკვაიძის წყალობით დაბრუნდა:

– 13 ივნისს მე და ირაკლი პაპიაშვილი გავფრინდით საფრანგეთში, მარსელში, საიდანაც ერთი დიდი იახტა უნდა წამოგვეყვანა მონტენეგროში. იახტა მარსელში ჩამოვიდა ფლორიდიდან. ამ პროცედურას ზღვის გავლით, ამ იახტიანად საშუალოდ 10 დღე საჭიროებდა. მოხდა ისე, რომ მარსელში რეგისტრაციის პროცესი გაიწელა, როგორც იქნა, დავიძარით საფრანგეთიდან.

ერთი ღამე იყო გასული, როდესაც კაპიტანმა გვითხრა, რომ ამინდი ფუჭდება ზღვაში და მოდი შევცვალოთ მარშრუტი და ნებისმიერ კუნძულზე გავჩერდეთ, სადაც იახტების სადგომი და ბენზინგასამართი სადგური იქნებაო, ჩვენც დავეთანხმეთ.

უეცრად ძალიან აირია ამინდი – ქარი, ტალღები, წვიმა. როგორც იქნა, თავი ძლივს შევაფარეთ კუნძულ კორსიკაზე. შევედით მარინაზე და გავჩერდით, ამასობაში ისეთი შტორმი დაიწყო ამ კუნძულის გარშემო, რომ იქ მცხოვრებლები აღნიშნავდნენ, ბოლო 10 წელია მსგავსი არ გვახსოვსო. ჩვენც ვიფიქრეთ, რამდენიმე საათში დამშვიდდება შტორმი და განვაგრძობთ ცურვას.

საბოლოოდ მოხდა ისე, რომ 11 დღე ამინდი არ დამშვიდდა, შესაბამისად, აღმოვჩნდით დატყვევებულები ამ კუნძულზე, აღარ ვიცოდით, რა გვექნა და

გაგრძელება მე-6 გვერდზე

## ასტროპროგნოზი

26 ივლისისათვის



**ვერძი** – შესაფერისი დღეა საქმიანი მოლაპარაკებებისათვის, რაც თქვენი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების გარანტია იქნება. **კურო** – მოაწესრიგეთ საოჯახო საქმეები. შემოქმედებითი პოტენციალი დღეს მძლავრობს. **ტყუპები** – დაძაბული ეტაპი გაქვთ. თუ მის გადალახვას მოახერხებთ, მიზნის მიღწევაში ხელს ველარაფერი შეგიშლით. **კირჩხიბი** – საყიდლებზე წასვლა სიამოვნებას მოგანიჭებთ. ნავაჭრით კმაყოფილი დარჩებით. **ლომი** – გაიფართოვეთ ცოდნის არეალი. მოსალოდნელია ცვლილებები კარიერაში. **ქალწული** – ეს დღე პირადი ცხოვრების მოწესრიგებით დაიწყეთ. ოდნავ დაძაბული ხართ. **სასწორი** – სარისკო პროექტებში ნუ ჩაერთვებით. ასევე, არ ღირს საყიდლებზე წასვლა. **ღრიანკალი** – ემოციები აკონტროლეთ. რეკომენდებულია ფიზიკური დატვირთვა. **მშვილდოსანი** – ბედი გწყალობთ. ჩანაფიქრის რეალიზებას სულ იოლად მოახერხებთ. **თხის რქა** – დღეს მხოლოდ პირად ცხოვრებას მიხედეთ. ჯანმრთელობას უყურადღებოდ ნუ დატოვებთ. ალკოჰოლს ერიდეთ. **მერწყული** – ძალიან დატვირთული ხართ, მაგრამ, თუ დროს სწორად გაანაწილებთ, ყველაფერს მოასწრებთ და გართობისთვისაც მოიცლით. **თევზები** – დიდია კონფლიქტური სიტუაციების ალბათობა. კამათში არავითარ შემთხვევაში არ ჩაერთოთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი

**შვეულად:** 1. რუსეთში მოღვაწე ქართველი ესტრადის მომღერალი მამაკაცი; 2. ძველი ქართული დამწერლობა; 3. პირველი ქართული ბალეტი; 4. ცხენის მოსართავი; 6. უეფას პრეზიდენტი; 8. ცხარე საწებელი; 11. უბანი სოხუმში; 12. ქართული მინერალური წყალი; 16. მოკლემეტრაჟიანი კინოკომედია იპოლიტე ხვიჩიას მონაწილეობით; 17. უკრაინული სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 18. ზუთხისებრთა ოჯახის თევზი.

**თარაზულად:** 1. კუთხე საქართველოში; 5. ბრიტანული იუმორისტული ჟურნალი; 7. ოპერა „დაისის“ პერსონაჟი; 9. უაზრობა, სისულელე; 10. ისტორიულ მოვლენათა ქრონოლოგიური ჩანაწერი; 13. ხავერდის მსგავსი ხაოიანი ბამბის ქსოვილი; 14. პოპულარული კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი იტალიის ალპებში; 15. სვლა ჭადრაკში; 19. სამეგრელოსა და ლეჩხუმში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 20. ტრიგონომეტრიული ფუნქცია; 21. საქართველოს ფეხბურთელთა გუნდი; 22. ფულის ერთეული ერაყში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

